# სახალხო გაზეთი

№ 1094 — კვირა, 19 იანვარი 1914 წ. — № 1094

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


## ამ ნომერში ექვსი გვერდია.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება
(კვირაობით).

**პრემიად** 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

**პირველი წიგნი:** „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ... ბარნოვისა და სხვ.

**მეორე წიგნი:** „უცხოეთის კლასიკები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი:** „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

**დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.**

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ფოსტის წიგნით ... საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს ადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ. 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:** 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლ. შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

**ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Гази“. П. Ящ. 190.

---

ლეჩხუმის მარშალი

### თავადი იასონ დავითის ძე გელოვანი

გულწრფელ მადლობასა სწირავს ყველათ, რომელთაც ნუგეში სცეს მას, პირად, ბარათით ანუ დეპეშით ასზე მოვლენილ უბედურობის გამო. 25

---

## საზოგადოების საყურადღებოდ:

რადგანაც ქალაქის სამშობიარო თავშესაფარი **ახალს შენობაში გადადის,** ერთის თვის გასვლობაში, 1 თებერვლიდან,

**სამშობიარო დაცეტება,**

მშობიარეთა მიღება 24 იანვრიდან ესწყდება. 20

---

## ბაქოს ქართველ ქალთა წრის მიერ

**ბაქოს ქართულ სკოლის შენობაში,**

(ბირჟის ქ., საკუთარი სლი),

**ამა 1914 წლ.** 1 იანვრიდან, მთავრობის ნებართვით, **გაიხსნა**

● **პროფესიონალური** ●

## ჭრა-კერვისა და ზეწარმის სკოლა,

სადაც მიიღებენ ქართველ ქალებს არა ნაკლებ თორმეტი წლისას. სწავლის ფასი წელიწადში 12 მან. თხოვნების მიღება და ყოველგვარი ცნობის გაგება შეიძლება იქვე: დილის 9 ს.-დან ნაშუდ. ორ ს.-მდე და ბალახანში—ნავთის მრეწველთა საავადმყოფოს **ექ. ლორთქიფანიძის** ბინაზე. 18

---

საზღვარ-გარეთის მოდა

## რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**საქარხნო მაღაზიამ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათი ცალ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. პორტუგალოვისა.**

კიმონო

---

## „ძმ. ა. და ა. მილოვების“
### სავაჭრო სახლის
**ხელზე ვაჭრობის განყოფილება**

გოლოვინის პროსპ., სადღეგრძ კორპუსის პირდაპირ.

გასულ წელთა მაგალითებისამებრ, მხოლოდ **ერთხელ წელიწადში!** დანიშნულია 7 დღის განმავლობაში **18, 20, 21, 22, 23, 24, 25 იანვარს**

### დარჩენილ საქონლის დიდი ვაჭრობა

და საზამთრო სეზონისაგან გადარჩენილ ყოველნაირ სავაჭროსი.

✦ **დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა** ✦

აბრეშუმეულობისა, მატყლეულობისა, შალის, ტილოს და ბამბეულობის საქონელი; სუფრები, საბნები, შალი **პორტიერებისა და ტიულისა, ინგლისისა** და **რუსეთის ფირმების** შალის საქონელი.

იაფობის დღეებში სადილის დროს $2^1/_2$ საათიდან 4 საათამდე მაღაზია დაკეტილი იქნება. 1028

---

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

### სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

### მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

---

ექიმი

### ი. ზ. გძელიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. მიღება ავადმყოფების შეიძლება დილის 11 ს.—2 ს. და საღამოთი 5—7 ს. 916

---

## გორის პირველი კერძო
# სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)**

**განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. ზ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**გინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606“, „914“.** 1604

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქვენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მიხეილის საავადმყოფოს ახლოს.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>**ფიდოროვი ი. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>**ფიდოროვი მ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ვენერიულ. სნეულებ. და ელექტ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი მ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

---

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმდაბლესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

---

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
# სამკურნალო
## ქალ. ბაქოში
### მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

---

**ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

---

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 იანვარს, 1914 წ., ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ **გ. აბაშიძის და გ. გედევანოვის მონაწილეობით ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება:

I

**პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა**

### „ბედნიერი დღე“
კომედია 3 მოქმ. პ. ირეთელისა.

II

### ხანუმა
მე-2 და მე-4 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე, ასათიანი, მდივანი, პიერეტა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იმნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ჟრუშაძე, შანშიაშვილი, ციციშვილი, ხონელი და სხ. ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.

**დასაწყისი სწორედ სად. 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „დონ კარლოსი“, „ისმინე ისრაილ“, „შინი ქირიმე“, „ამოცანა“ და სხ.

1006 ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

---

## დღეიდან
## ვაგზლის სამკურნალოში

**(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)**

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი $11—11^1/_2$ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით $11—11^1/_2$ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

**მაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

**წამლობა „914“.**

1023

---

**ზედამხედველი კომიტეტი**

მიხეილის სახელობის

## ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო
# ბანკისა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებულ ბანკიდან სესხის გამტანთა

## საარჩევნო კრება,

წესდების მე-80 §-ის თანახმად, დანიშნულია ქ. ქუთაისში ბანკის ღარბაზში, 1 ხარისხისა—25, მეორისა—26 და მესამისა 28 თებერვალს 1913 წელს დილის 10 საათზე. იმავე წესდების მე-84 §-ით საარჩევნო კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი პირიც უნდა დაესწროს. 1028

ქართული თეატრი იუბილე კვირას 26 იანვარს
კონსტანტინე დიმიტრის ძის ყიფიანისა
ბილეთები თეატრის კასაში იყიდება. საიუბილეო კომიტეტი.
1033

ტილეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდგ. № 56.
დღეს, 19 იანვარს, 1914 წ. ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
მარგარიტა გოტიე,
დრამა 5 მოქ., ა. დიუმასი, თარგ. ვალ. გუნიასი და ალ. იმედაშვილისა.
მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: მდივანი, ქიქოძე, შოთაძე, ჩხეიძე. ბ-ნნი: ბარველი, გუნია, ზარდალიშვილი, თარალაშვილი. იმედაშვილი, მესხი, შანშიაშვილი, ხონელი და სხვა.
დასაწყ. სწორედ საღ. 8 საათ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივი
რეჟისორი მ. ქორელი.
1006 ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობისა.

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი
კვირას, 19 იანვარს, 1914 წ. სახ. სახ. არს. ქარ. სახ. წარ. მმარ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართ. სცენაზე სლოვოდას პიესა:
1 გოგოლა კომ. სატირა 3 მოქმედებად. თარგმ. ალ. იმედაშვილისა.
2 დუელი კომ. 1 მოქმ. ნ. გალუსტოვისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გოგოლაშვილი, ციმაკურიძე, ბ.ბ. ათონელი, ანაშვილი, არშაკუნი, ნ. გოცირიძე, ალ. გუგუშვილი, ზურაბიშვილი, ალ. მეტრეველი, მინდიაშვილი, ტოგონიძე, სამადაშვილი, სტურუა, რომანიშვილი, ფრონისპირელი, ჭუმბურელი. ადგილების ფასი 5 კ-დან 50 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი ალ. წუწუნავა. რეჟ. თანაშემწე ალ. გუგუშვილი. ქ. სახ. წარ. მმართ. წრ. ადმინისტრაცია. 1002

ავლაბრის სახალხო თეატრი
(მურაშკოსეული, თელავის ქუჩა).
კვირას, 19 იანვარს, 1914 წ., ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენ. მმართველ წრის მიერ მსახიობთა ქ-ნ ე. ჩერქეზიშვილისა, ბ-ნთ ი. ივანიძისა და ი. ჟივიძის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა:
ორი ობოლი, დრამა 5 მოქ. და 7 სურათად.
მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, მ. მარგველაშვილისა, საკაშვილისა, ე. სუხიაშვილისა, ჟურულისა, ნინოძისა; ბ-ნნი: ი. ივანიძე, ი. ჟივიძე, რ. ჯიბლაძე, რ. სალაყაია, ს. სულთანიშვილი, მენთეშაშვილი და სხვ. ადგილ. ფასი 4 კ.-დან 50 კ., ლოჟ. 2 მ. 50 კ.—1 მ. 20 კ. დასაწყ. საღ. 8 ს.
23 მორიგი გამგე თ. ნასიძე, რეჟის. ი. ივანიძე. ადმინ. წრისა.

ხეხილების გასხვლა
ს. ს. ხეთაგურის
სანერგე
მსურველთ აწვდის გამოცდილ მებაღეებს ხეხილის გასასხვლელად. ცნობების მისაღებად მიმართვა შეიძლება წერილობით: ტფილისი, ს. ს. ხეთაგურის სანერგე.
Тифлисъ, питомники С. С. Хетагури. 1560

ქ. შ. წ.-ქ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
შემდეგი წიგნები:

| | | | |
|---|---|---|---|
| აჩრდილი, ი. ჭავჭავაძისა, ფასი | 5 კ. | მეფე დიმიტრი თავდად. მისივე. | 7 „ |
| გლახის ნაამბობი, მისივე . | 20 „ | მოთხრობანი კლდიაშვილისა, | 30 „ |
| გლეხთა განთავისუფლ. პირველ დროებ. სცენები, მისივე. | 7 „ | მგზავრის წერილები, ილიასი. | 7 „ |
| დედა და შვილი, მისივე. . | 3 „ | ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან, წულუკიძისა, . | 50 „ |
| ვეფხის ტყაოსანი. . . | 60 „ | ოთარაანთ ქვრივი, ილიასი. | 18 „ |
| თხზულებ. რ. ერისთავისა II, | 40 „ | რობინზონ კრუზო. . . | 30 „ |
| „ ვაჟა-ფშაველასი. | 1 მ.— | უცნაური ამბავი, ილიასი, . | 4 „ |
| „ ეკ. გაბაშვილისა. | 1 მ. 20 „ | ქილილა და დამანა. . . | 1 მ.— |
| „ პუშკინისა. . . | 50 „ | ჩარლზ პარნელი. . | 25 „ |
| თორნიკე ერისთავი. აკაკისა, | 35 „ | **ახლად გამოსული წიგნები:** | |
| კრილოვის არაკ., აკაკის ნათ. | 50 „ | სიტყვ. ისტ. ხახან. XVIII ს. | 1 მ. 20 „ |
| კაკო ყაჩაღი, ილიასი . . | 5 „ | ბიძია თომას ქოხი, („ნაკადულის“ პრემია), . . | 1 მ. 25 „ |
| კაცია ადამიანი, მისივე. . | 20 „ | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული
ქართული წარმოდგენების მმართველი წრის
გამგეობა
უმორჩილესად სთხოვს ყველა
იმ ინტელიგენტ სცენის მოყვარე ქალებს და ვაჟებს,
ვისაც სურვილი აქვს სცენაზე მოღვაწეობისა, გაუწიონ დახმარება აღნიშნულ წრეს და მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში. გამგეობა დარწმუნებულია, მის მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და მსურველნი ჩაეწერებიან წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102, რეჟისორ ალ. წუწუნავასთან, ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან.
1652

კახელ მევენახეთა საზოგადოება
„კახეთის“-ს
გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 26 იანვარს, 1914 წ. ქალაქ თელავში დანიშნულია საზოგადოების
წლიური კრება.
განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება წარსულ 1912—13 საანგარიშო წლის ანგარიშების, 2) განხილვა 1913—14 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა, 3) გადასინჯვა წევრთა ღვინის დაფასების ინსტრუქციისა, რომელიც მიღებულ იქმნა 1913 წლის გიორგობისთვის 8—10 დღ. საგანგებო კრებაზე, 4) მოხსენება კახეთში სარდაფის აშენებაზე, 5) მოხსენება ვაჭრობის გაფართოების შესახებ, 6) საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა, 7) მუშათა და მოსამსახურეთა საურთიერთო დამხმარე კასის პროექტის განხილვა, 8) საზოგადოებაზე დარჩენილ ს. ა. ჯანდიერისეულ მამულის შესახებ, 9) მიმდინარე საქმეები, 10) საზოგადოების ახალ წევრთა არჩევანი, 11) გამგეობის ერთი წევრის არჩევანი, ი. ი. თავად ვაჩნაძის მიერ, რომელსაც უთავდება ვადა. 1644

ქ. ქუთაისში
დაიწყო ხელის მოწერა
ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად. წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს, დართული ექნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.
წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზად.
ხელის მოწერა მიიღება ბბ. ნნ კ. ოცხელის, ის. კვიცარიძის, თ. მთავრიშვილის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.
ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.
მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა. გამომცემელი ავ. ცინცაძე. 22

ტფილისის ქართული ფილარმონიული
საზოგადოების
სამუსიკო სკოლა
(ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6).
მოწაფეთა მიღება; ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერა (solo) თეორიისა, ჰარმონიისა, ენციკლოპედიისა, სოლფეჯიოსი (ნოტების კითხვა) და ხოროს კლასსებში დაიწყო 2 იანვრიდან, დილის 11 ს.-დან 2 ს.-დე და საღამოს 5—7 საათამდე, (კვირა-უქმის გარდა) სკოლის კანტორაში.
სწავლის ფასი 65 და 75 მან. წელიწადში გადახდებათ, ნახევარი წლობით წინდაწინ, სპეციალური თეორია მუსიკისა 15 მან. წელიწადში.
სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან. 1004

ელენე გიგო ავალიშვილის
ასული მაჩაბლისა.
გულითად მადლობას უთვლის ყველა მათ, ვინც პირადათ, დეპეშით თუ წერილით გამოუცხადა სამძიმარი დაუვიწყარ ავალონის როგორც გარდაცვალების დროს ისე ორმოცის პანაშვიდზე—დაბა ცხინვალში. 24

სამკურნალო
სპეციალისტ-ხამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11^1/_2$ ს.
ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევა—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
გორბუნოვა—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
ასპახოვა—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალამკაროვა. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. ოთხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეიბაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევა—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
სათვალეების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ჰემოროის ოპერაცია, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070

ვასწავლი
ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისათვის. გუნდის მიწვევა კონცერტებზე, ეკლესიებში, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც. პირობების გაგება, მოლაპარაკება და ჩაწერა მიხეილ კავსაძესთან, კვირაობით 3—5 ს.-დე და ოთხშაბ. 6—8 ს.
პეტრელის ქ. № 29, ვიღებ და ვასწავლი მუშა ხალხსაც. 1027

ექიმი პავლე არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ქ. გორში
(დოკტორანტი).
ექიმი ვ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი მ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3. სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი კბილისა პ. მ. მუმულია-კუხალაიშვილი
გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალოა მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს-მდე. 872

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელექტრონულ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

# ტფილისი, 19 იანვარი

**სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის განახლება.**

სახელმწიფო სათათბირომ განაახლა მუშაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ დეპუტატები კვლავ შეიკრიბებიან და კვლავ დაიწყებენ საქმეს, რომელსაც საკანონმდებლო მუშაობას ეძახიან. როგორი იქნება ხასიათი ამ მუშაობისა? სათათბიროს შეკრებას წინ უძღოდა რამდენიმე ისეთი ფაქტი, რომელსაც, უეჭველია, ნიშანი უნდა დაედო სათათბიროს მუშაობისთვის, თუ იგი გამომსახველია ფართო საზოგადოების პოლიტიკური აზროვნებისა და სულიერი განწყობილებისა; დაირღვა ოქტომბრისტების პარტია. დაკარგული დოკუმენტის პარტია ლამის არის თითონაც დაიკარგოს. ის დისჰარმონია, რომელიც არსებობს სათათბიროს მუშაობასა და საზოგადოების სურვილთა შორის, თითქოს თვით ოქტომბრისტებისთვისაც კი აუტანელი გაჰხდა. პარტიაში განხეთქილება მოჰხდა, წევრები დაიქსაქსნენ და ისეთს მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომ ერთმანეთისა ვერაფერი გაუგიათ. ჯერ მემარჯვენე და მემარცხენე ოქტომბრისტები გაეთიშნენ ერთმანეთს, ეხლა კი დაიბადა ახალი ჯგუფი, რომელსაც აზრადა აქვს შეაერთოს ოქტომბრიზმის მომხრე საეროზო მოღვაწენი და სხვა. ზოგი მათგანი მარჯვნით იწევს, ზოგი—მარცხნით.

აი, ასეთ დროს შეიკრიბა სათათბირო მუშაობის გასაახლებლად. ოქტომბრისტების კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუციის თანახმად შესამჩნევად უნდა შეცვლილიყო სათათბიროს საპარლამენტო ფრაქციის ტაქტიკა. მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, რომ საპარლამენტო ფრაქცია, როგორც მთელი პარტია ოქტომბრისტებისა, ისეთი ელემენტებისაგან შესდგება, რომელიც კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს ვერასოდეს ვერ განახორციელებს. ამიტომ ოქტომბრისტების ფრაქცია სათათბიროში ყოველთვის ორთავიან იანუსის სახით გვევლინება.

ეს ორთავიანობა დამახასიათებელი თვისებაა არა მხოლოდ მემარჯვენე ოქტომბრისტებისა, არამედ მთელი ოქტომბრიზმისა, როგორც პოლიტიკური მოვლენისა.

მთავრობაც მშვენიერად სარგებლობს ამ გარემოებით. ჯერ თვითონ მთავრობა და მერე სახელმწიფო საბჭო აწარმოებს პოლიტიკას, რომელსაც შეიძლება ყოველნაირი სახელი ეწოდოს, გარდა 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებისა. სხვა და სხვა სამინისტროები ადგენენ კანონ-პროექტებს, შეაქვთ სათათბიროში. მაგრამ არც ერთი ამ კანონ-პროექტთაგანი არას გვეუბნება იმის შესახებ, რომ მთავრობას ჰსურს 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება თუ არა, კანონ-პროექტების ცოტაოდენი შეთანხმება მაინც მანიფესტთან. მოიგონეთ, თუნდაც, იგივე კანონ-პროექტი ბეჭვდითი საქმის შესახებ. იმ დროს, როდესაც მთავრობა ასეთს კანონ-პროექტებს ადგენს, ოქტომბრისტები გარეთ, კონფერენციაზე, კონსტიტუციონალურ დემონსტრაციას ახდენენ და სათათბიროში კი ამტკიცებენ და ადასტურებენ მთავრობის პროექტს.

იქნება ეს სრული ლოღიკური წინააღმდეგობა იყოს, მაგრამ ოქტომბრიზმის სული და გული, მისი შინაგანი ლოღიკაც სწორედ ეს ულოღიკობაა. ამიტომაა, რომ ოქტომბრიზმები ფართხალობენ, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების შარაზე მაინც ვერ გამოსულან.

ამისთანა პირობებში რას უნდა მოელოდეს საზოგადოება სათათბიროსაგან? იქნება ზოგიერთ შემთხვევაში სათათბირომ საინტერესო დღეებიცა ნახოს, მაგრამ იგი მაინც სრულიად მოწყვეტილი იქნება რუსეთის საერთო ცხოვრებას, რადგანაც რუსეთის სა... [illegible] ...ების პოლიტიკურ წყურვილებსა და სათათბიროს მუშაობის შორის უფსკრულ ია გათხრილი.

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ზაკავკაზიე“-ს № 17-ში დაბეჭდილია ნ. დურნოვოს წერილი „საქართველოს ეკლესია და მისი საჭიროებანი“. ავტორი ეხება ახალ ექსარხოსის ალექსის პირველ ნაბიჯებს და ადარებს მას ინოკენტის მოღვაწეობას:

„არქიეპისკოპოსი ინოკენტისათვის ადვილი იყო ივერიის ეკლესიის გამგებლობა. მან იცოდა წარჩინებულ საერო პირთა დაახლოვება, მათთან მეტი ურთიერთი დამოკიდებულება ჰქონდა, ვიდრე სასულიერო პირებთან. მას რომ მეტი უნარი ჰქონოდა შორსმჭვრეტელობისა და დაკვირვებისა, მაშინ მიხვდებოდა თვისი პირმოთნეობის ამაოებას იმ სფეროში, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სასულიეროსთან. საქართველოში ჩასვლისას მას რომ გაეხსენებინა, ვისთვის გარდამოევლინა სული წმინდა, რომ არა ეროვნება, არამედ რწმენა აერთიანებს ადამიანებს, მაშინ ქართველები მისთვის ისეთივე ძმები იქნებოდნენ, როგორც რუსები. იგი ოცნებობდა გამრუსებლის სახელი მოეხვეჭა, მაგრამ ამასაც ვერ მიაღწია, რადგანაც მისი მოღვაწეობა ულმობელმა სიკვდილმა შეაჩერა.

ექსარხოსის ალექსის მდგომარეობა საქართველოში ასე ადვილი არ არის. სასულიერო ბიუროკრატიაში მას მეგობრები არა ჰყავს. მისი დანიშვნა გრაფინია იგნატიევას სალონის დაუდასტურებლად მოხდა, რუსეთის ეკლესიის მეთაურის სურვილის წინააღმდეგ“ და სხვა.

ავტორი აღნიშნავს, რომ კეთილ მორწმუნე და პატიოსანნი მოღვაწენი რუსოფილები ნ. გილიაროვი პლატონოვი, ი. აქსაკოვი, რ. ფადეევი და სხვანი მეგობრულად ეპყრობოდნენ ივერიის ეკლესიას; მხოლოდ ვოსტორგოვები და სკვორცოვები და ბუტკევიჩები იყვნენ მის წინააღმდეგ, რადგან მათთვის სულ ერთია: თუნდაც რუსეთის ეკლესია დაიღუპოს, ოღონდ კი ოქრო ჰქონდეთ.

დასასრულ ავტორი ამბობს: ქართველმა თავად-აზნაურობამ ხალხთან ერთად უნდა მოითხოვოს ჯერ-ჯერობით ქართველ მოღვაწე ეპისკოპოსებს კირიონისა და დავითის, აგრეთვე არქიმანდრიტ ამვროსის გელათს დაბრუნება და ქართულ ეპარქიებში ყველგან ქართველი ეპისკოპოსების განწესებაო.

***

გაზეთ „ზაკავ რეჩში“ ვინმე პედაგოგი ახასიათებს კავკასიის სახალხო სკოლების ინსპექტორებს. გაზეთი სწერს: არსებობს მეფის მოადგილის მიერ დამტკიცებული სამოსწავლო გეგმა, რომლის ძალით სახალხო სკოლებში პირველს წელიწადს სწავლება უთუოდ ადგილობრივ ენებზე უნდა სწარმოებდეს; ამასთანავე გამოცემულია ცირკულიარი, რომელიც მოითხოვს, რომ სახალხო სკოლების ინსპექტორებმა უთუოდ უნდა იცოდნენ ადგილობრივი ენები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სწავლა-განათლების გამგენი ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ როგორმე გვერდი აუქციონ როგორც პირველს, ისე მეორე მოთხოვნილებას—ადგილობრივს ენებს პირველ დაწყებით სკოლებში ყოველნაირად ავიწროვებენ და მათ სრულს გაუქმებასაც კი ლამობენ. რაც შეეხება იმას, რომ ინსპექტორებმა ადგილობრივი ენები იცოდნენ, ამას იმით ასრულებენ ვითომ, რომ ქართულსა და სომხურს სასწავლებლებში ნიშნავენ ინსპექტორებად არაბულის, სპარსულის, ყალმუხურის ანბანის მცოდნე პირებს, რომელთაც ოდნავად არ მოეპოვებათ საქმის სიყვარული და მხოლოდ თავის პირად დაწინაურებით, კარიერით არიან დაინტერესებულნი. სახალხო განათლების საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ... [illegible] ... პედაგოგები, არამედ სხვა და სხვა კარიერისტები: დიპლომატები, მისიონერები, მომრიგებელ შუამავლები, ტეხნიკოსები, აგრონომები.

„ყოველივე ამის შედეგია მეტად სასაცილო სურათი. აღმოსავლეთში არსებობს ერთი ბრძნული ანდაზა: თევზი თავიდან აყროლდებაო. მართლაც, რას უნდა გამოელოდეს პირველ დაწყებითი სკოლა ასეთის ხელმძღვანელებისაგან? რა უნდა მისცეს სახალხო განათლებას ინსპექტორმა—დიპლომატმა, პოლიციელმა, აგრონომმა ან ტეხნიკოსმა? დასასრულ, რა უნდა გაუკეთოს სკოლას კარიერისტმა ინსპექტორმა, რომელიც ფონს გასვლას კალათების წნვის და მეჩექმეობის გავრცელებით ფიქრობს? და განა ეს არაა უმთავრესი მიზეზი ყველა იმ საზიზღრობისა, რომელსაც დღეს ვხედავთ კავკასიის სკოლებში?“

# დეპეშა

**პეტერბურგი.**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

დეპუტატმა გელოვანმა მეფის მოადგილის წინაშე აღძრულ შუამდგომლობაზე ასეთი ოფიციალური პასუხი მიიღო: მეფის მოადგილემ უბრძანა გუბერნიის უფროსებს და სახაზინო პალატებს, რათა მოუსავლობისაგან დაზარალებულ სოფლებს შეწერილი ხარჯი იძულებით არ გადაახდევინონ.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **დეპეშათა სააგენტო** პეტერბურგიდან იტყობინება: ქუთაისის გუბერნატორს გადაეცა 75.000 მანეთი მცხოვრებთათვის თესლეულობისა და სანოვაგის შესაძენად.

✦ **კოტე ყიფიანის საიუბილეო კომიტეტხა** და აგრეთვე დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ბევრი წერილები მისდის როგორც ადგილობრივ ისე საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, რომლითაც სურვილს აცხადებენ საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

✦ **რედაქციამ მიიღო** შუამთის მონასტრის არქიმანდრიტ ნესტორის მიერ შედგენილი და გამოცემული ქართული წიგნი „თესლი კეთილი“. წიგნში მოთავსებულია წიგნებიდან ამოკრეფილი ნაწყვეტები, მოთხრობები და სხვა. წიგნი სუფთად არის გამოცემული, წიგნში 148 გვერდია.

✦ **მამადავითის მთაზე** მიწების მესაკუთრეებს დღეს, შუადღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში კრება ექნებათ ამ მიწების მოვლა-პატრონობის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

✦ **ქალაქის კონტროლის** რეორგანიზაციის პროექტისა და ახალ დებულების შემუშავებას უკვე შეუდგა ქალაქის საბჭოს საგანგებო კომისია, რომელსაც პირველი კრება 17 იანვარს ჰქონდა.

✦ **ნაძალადევში ყაჩაღთა და პოლიციელთა შეტაკების დროს** გარდაცვლილნი ბოქაული გამბერგი და მისი თანაშემწე ზუბრიცკი გუშინ დაასაფლავეს კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. დასაფლავებას ხალხი ბლომად დაესწრო.

გუბერნატორმა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგ ჯუნკოვსკისაგან დეპეშა მიიღო, რომლითაც მინისტრი დახოცილ პოლიციელთა ოჯახებს თანაგრძნობას უცხადებს და ჰპირდება, რომ ისინი ნივთიერად უზრუნველყოფილნი იქნებიან.

✦ **ყაჩაღებთან შეტაკების საქმის ადმინისტრატიული გამოძიება** მეფის მოადგილემ თვის კანცელარიის საგანგებო მინდობილობათა მოხელეს ლ. გ. ევანგულოვს მიანდო. სასამართლოს მხრით ამ საქმეს იძიებს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი რუსანოვი.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 20 იანვრისთვის.

## სასწავლო ცხოვრება

✦ **გაფიცვა ეჩმიაძინის აკადემიაში.** აკადემიის მე 4, 5, 6 და 7 კლასის მოწაფენი გაიფიცნენ და მოითხოვეს რექტორის დათხოვნას. კათალიკოსმა თათბირზე მიიწვია მასწავლებლები.

## სოფლად.

✦ **ს. ხაშმი.** (გარე-კახეთი). ესტატე ლოლაძის ასულს ნინოს მოუქსოვნია მშვენიერი ხალი, რომელზედაც ფერადი ძაფებით ამოქარგულია შოთა რუსთაველის სურათი. ხალი სიგრძით $3^1/_4$ არშინია, სიგანით $2^1/_2$ არშინი.

**შეცდომის გასწორება.** ჩვენის გაზეთის მე 1092 №-ში ახალ ამბად შეცდომით დაბეჭდილია: ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებას ნ. ლოლობერიძის პრემიის მისაღებად თვისი თხზულება წარუდგინა **სვიმონ ავალიშვილმა**, უნდა იყოს: **სვიმონ ავალიანმა.**

# დღიური

## დღესასწაულის შემდეგ.

ტფილისის ქალების დღესასწაულს ყველანი თანაგრძნობით მიეგებნენ. წამკითხველებმა, მომღერლებმა, მსახიობებმა ხალისით მიიღეს მონაწილეობა დღესასწაულის გამართვაში. თვით: მოხუცი დიდებული აკაკი არ დაერიდა თავის ავადმყოფობას, მოვიდა „საღამოზე“ და სავსე გულით, ლამაზის ენით მიესალმა ქალებს. თვითონ დღესასწაულის მეთაურებს ყველაფერში ეტყობოდათ სიყვარული, სიმხნევე, საქმის ერთგულება. საზოგადოებაც მრავალი დაესწრო და ყველანი გულგაშლილად მხიარულობდნენ, ყველგან ბუნებრივი სიამოვნება და კმაყოფილება სუფევდა.

ასეთი იყო დღესასწაული. მაგრამ დღესასწაული არის ყოველთვის გამოფენა ყოველ დღიური ნამუშევარისა, იგია გადათვალიერება და შემოწმება იმისა, რასაც ვაკეთებთ ცხოვრებაში, საქმის დღეებში, იგია შეფასება საზოგადოებრივ განვითარებისა მოქალაქობრივ თუ ქონებრივ ასპარეზზე. ამ გვარი არ იყო წარსული ნინოობა; ის იყო, აგრე ვსთქვათ, ავანსის დღესასწაული, დღესასწაული წინასწარი, მომავლის, იმედის, ჯერ არ გაკეთებულის, მაგრამ გასაკეთებელის, ჯერ არ განხორციელებულის, მაგრამ განსახორციელებელის. ეს იყო დღესასწაული ქალის, რომელიც ჯერ არ შობილა, მაგრამ უნდა კი იშვეს. 14 იანვარს ჩვენი საზოგადოება მიესალმა მომავალს ქართველს ქალს, რომელსაც სტიქიურად მოელის, რომელსაც სარწმუნოებრივის იმედით შეჰყურებს.

რასაკვირველია, ამ ნაირს დღესასწაულს თავისი მნიშვნელობა, ფასი და ღირსება აქვს, და მე სრულებით არ ვფიქრობ, მის წინააღმდეგ რამე ვსთქვა. იმედი ჰ გამხნევება ყოველი საქმის დედაბოძია და ქალების მუშაობისთვის, მათის აღორძინებისა და განთავისუფლებისათვისაც აუცილებელი საჭიროა ერთიც და მეორეც. მაგრამ იმედი მარტოოდენ, იმედი უსისხლხორცო, უსაქმო უიმედობაზე უარესია და ჩვენი ქალების მოვალეობაა იმედიანის დღესასწაულის შემდეგ დიდის ენერგით, სიბეჯითით, დაკვირვებით დაუღალავად შეუდგნენ ყოველდღიურს მუშაობას და უჩვენონ ყველას უნარი საქმიანობისა და შემოქმედებისა, დაუმტკიცონ მამაკაცებს ძალა, ძალა სულიერი ყველაზე უწინარეს, ძალა ხასიათისა,

ყოველი მუშაობის დასაწყისი მუდამ ძნელია. ტფილისის ქალთა საზოგადოების მოღვაწეობას ათასნაირი დაბრკოლება გადაეღობება წინ, ნამეტურ ამ თავშივე. საზოგადოებას ჯერ არ მოეპოვება არავითარი გამოცდილება, ტრადიცია, და მისი ყოველი ნაბიჯი ეხლა სახიფათოა, გაუბედავი, არაა მტკიცე. ამიტომ ქალებს ყველაფერში დიდი სიფრთხილე მართებთ, აჩქარებით არაფერს არ უნდა მოკიდონ ხელი: ათჯერ გაზომონ და ერთხელ მოსჭრან. ისე არა ავნებს რა მათ საქმეს, როგორც წინდაუხედველი საქციელი. სულ მცირე, უბრალო შეცდომა წევრებს გულს გაუტეხს და დააფრთხობს, გულის გატეხას კი აუცილებლივ ძალების შესუსტება მოსდევს.

ამისათვის ქალთა ნორჩმა საზოგადოებამ პირველ კანონად უნდა დაიდვას: არ გაიფანტოს, ყველაფერს არ მოედოს, არ გამოეკიდოს დიდს, მძიმე საქმეებს. გაცილებით აჯობებს, თუ თავის მოღვაწეობას პატარა რითიმე დაიწყებს, გამოიცდება, შეეჩვევა, ფეხს მოიკიდებს და შემდეგ თანდათან რთულსა და ძნელს საქმეზე გადავა. საზოგადო მოღვაწეობის საძირკველი ტრადიციაა. ქალთა საზოგადოება თავგამოდებით უნდა ცდილობდეს თავის ტრადიციების შექმნას, საქმიანობის ტრადიციებს კაპეიკის საღირალი გააკეთოს, მაგრამ ეს იყოს მტკიცე, მუდამ მოსაგონებელი და გამამხნევებელი.

უნდა მოერიდოს აუცილებლივ ამავე მოსაზრებით ხელი მოჰკიდოს მრავალს სამუშაოს. საქმიანობა საქმის, სამუშაოს სიმრავლე არაა. შეიძლება ერთს რასმე აკეთებდე და უფრო საქმიანი იყო, ვიდრე მრავალს ეპოტინებოდე და ვერც ერთს კი ვერა წვდებოდე. ქართველების საზოგადო სენია ძალების დაქსაქსვა. ხშირად შეხვდებით ინტელიგენტს, რომელიც რამდენისამე საზოგადოების წევრია, მაგრამ არც ერთს საზოგადოებაში არას აკეთებს. უეჭველია, ერთს რომელსამე საზოგადოებას რომ ემსახურებოდეს, მისი შრომა რაიმე ნაყოფს უთუოდ გამოიღებდა. ამგვარადვე ასუსტებს ჩვენებურს კულტურულ საზოგადოებებს საქმეების სიმრავლე და სხვა და სხვაობა. ამგვარადვე განათლებული ქართველი ყველაფრის მცოდნეცაა და არაფრის მცოდნეც.

შემდეგ, ქალთა საზოგადოებას ყოველთვის თვალ წინ უნდა ედგას თავისი პირდაპირი დანიშნულება და მიზანი. ფორმალურად ნუ შეხედავენ თავის წესდების მუხლებს და თუ პირნათლად შეასრულებენ იმას, რასაც ავალებს საგანი წესდებისა, სახელდობრ, იზრუნებენ ქალის გონებრივ-ზნეობრივ ამაღლებისათვის, ამით ქალის მდგომარეობასაც გააუმჯობესებენ საზოგადოდ და ხელს შეუწყობენ მთელი ერის ცხოვრების აღორძინებასაც. არ ვიტყვი, რომ ქალებმა ვიწროდ შემოიზღუდონ კედლები, მაგრამ ჩაიკეტონ კარები და, გარდა მარტო საქალო საკითხისა, არაფერი აინტერესებდეთ. არა. მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ყველამ ყველაზე უწინარეს გავაკეთოთ ჩვენი პირდაპირი საქმე, შევასრულოთ ჩვენი პირდაპირი მოვალეობა. აქაც უნდა მოვიგონო ძალაუნებურად ქართველების მეორე საზოგადო ნაკლი: ჩვენ ძლიერ გვიყვარს სხვისი საქმის კეთება, საკუთარს კი ყოველთვის გავურბივართ. ამიტომაა, რომ ჩვენი მუშაობა და ფაცი-ფუცი ასე მოკლებულია საქმიანობას და ნაყოფიერობას. ხმაურობა და ყვირილი დიდია, ხოლო შედეგი მცირე...

ადიქურვონ ჩვენი დედები მაღალის მისწრაფებით, მტკიცე იმედით, ბეჯითის საქმიანობით და მუყაითობით ყოველდღიურ მძიმე მუშაობისთვის. შეიძლება, ეს არ იყოს, ისე სახალისო და სამხიარულო, ეკლიანია გზა ასეთის მუშაობისა, მაგრამ ასეთი მუშაობა დიდებულად გააბრწყინებს და მორთავს მომავალს დღესასწაულს!

**სიტყვა.**

# უსიტყვო ლექსი

იწერები:—„თუ გსურს თავი აღარ დავიობლო:
ამიწერე ეგ ბუნება, ეგ თქვენი სამშობლო;
როგორ აღსდგა საქართველო, ან როგორ დაეცა
და მაშინ კი—ვნახოთ! ალბათ!—შეგიყვარებ მეცა“...
ივერიის ბანოვანო! ბანოვანო ჩემო!
ნუ თუ შენი სიყვარული არ უნდა ვიგემო?
ნუ თუ უნდა ერთმანეთი მიტომ მივატოვოთ,
რომ სამშობლო ვერ ავწერე კარგად, საუცხოვოთ?..
ვით ავწერო ეს ბუნება: ეს ფოთოლთა ქნარი,
ან ეს ნისლი მზის ცელქ ტანზე კოხტათ შემომდნარი;
ან ეს ცისა დაფიონი, თვით ცა, ცის ლიჟური:
ხან ვით სევდა კდემით სავსე, ხან კი მედიდური.
ან ეს ნაძვი,—ეს სიმბოლო სიკეთის-სინაზის,—
ქალივით რო მოხუც თოვლის ჩიხტი-კოპი აზის,
ან ეს ფიფქის თეთრ პეპლებით შემკული კენწერო.
აბა მითხარ, როგორ ვაქო, როგორ აგიწერო?
სიტყვებს, სიტყვებს ვერ ვპოულობ შენსა შესაფერსა;
დავდუმდები და დუმილით გეტყვი ყველაფერსა.

**ი. გრიშაშვილი.**

# დასელის აზრი ავტონომიის შესახებ

ამ რამდენსამე ხნის წინად ქუთათურ გაზეთ „სიტყვა“-ში დაიბეჭდა წერილი ბ-ნი ნ. საქარელისა ეროვნულ საკითხის შესახებ. ზემოხსენებულ წერილში ავტორმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ ეროვნულ-კულტურული ავტონომია სრულიადაც ვერა სწყვეტავს ეროვნულ საკითხსაო. მაშინ ჩვენ შევეკითხეთ ბ-ნ ნ. საქარელს, თუ ეროვნულ-კულტურული ავტონომია უვარგის საშუალებად მიგაჩნიათ, მაშ რანაირი საშუალება გინდათ ამოირჩიოთ ამ საკითხის გადასაწყვეტათაო. ამ შეკითხვის პასუხს რაოდენამდე გვაძლევს ბ-ნი ნ. საქარელის წერილი, რომელიც დაიბეჭდა არაქუთათურ გაზეთ „სიმართლის ხმა“-ში, სადაც ბ-ნი ნ. საქარელის პირველი წერილი იყო დაბეჭდილი, არამედ „ბათომის გაზეთში“.

მოგვყავს უკანასკნელი ნაწილი ამ წერილისა, რომელსაც სათაურად აქვს: „ეროვნული საკითხი შვეიცარიაში“.

„თუ დაუკვირდებით რუსეთში და ჩვენში პოლემიკას ნაციონალური კითხვის შესახებ, ერთს პატარა, მაგრა მეტად საინტერესო მოვლენას შეამჩნევთ. ხშირად იხსენიებენ შვეიცარიას, როგორც კლასიკურ ქვეყანას, სადაც შესანიშნავად არის გადაწყვეტილი მრავალ ერთა სოციალურ-პოლიტიკური თანაარსებობის საკითხი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყოველ განსხვავებულ მიმდინარეობას ნაციონალურ კითხვაში თავისი დებულების გასამართლებლად და სხვების, მოწინააღმდეგეთა, შეხედულების დასაფუძნად მოჰყავს შვეიცარიის მაგალითი. ყოველი მიმართულება აქ იმას ხედავს მხოლოდ, რაც მას სურს დაინახოს და ყურადღებას არ აქცევს იმას, რაც ნამდვილად არის და რისი დავიწყება შეუძლებელია კითხვის მთლიანი განხილვის დროს. შვეიცარია ყველას იარაღად გამხდარა. მაზე მითითებით „ასაბუთებს“ თავის მრწამსს როგორც ცენტრალისტი, ისე ფედერალისტი. მას იყენებს როგორც ავტონომიის მომხრე, ისე მისი მოწინააღმდეგე. ბოლო ხანებში რუსეთის ცენტრალისტებმა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის წინააღმდეგ შვეიცარია აამოძრავეს. მაგრამ თავის მხრით კულტ.-ნაც. ავტონომიის მომხრეებმა შვეიცარიას შვეიცარიავე დაუპირდაპირეს და სხ.

სკოლა, მწერლობა, ხელოვნება შვეიცარიაში ნაციონალურია. მაგრამ საზოგადო განსაკუთრებული კულტურულ-ნაციონალური ორგანოები, რომლებიც აკავშირებდნენ ყველა სხ. ჰ სხ. ნაციონალურ ელემენტებს ცალ-ცალკე, მაგალითად, ყველა ნემცებს, ყველა ფრანგებს, ყველა იტალიელებს თავს უყრიდნენ ერთად, ასეთი ორგანოები არ არსებობენ. სკოლა ჰ სხ. ასეთი კულტურული საქმეები ერთს ნაციონალურ ცენტრს არ უპყრია ხელში შვეიცარიის არც ერთ ნაწილში.

ბოლომდე გატარებული დემოკრატიზმი, რაღა თქმა უნდა, უდიდესი პირობაა ნაციონალური ბრძოლის შესასუსტებლად და ინტერნაციონალური სოლიდარობის დასამყარებლად. ამა თუ იმ მრავალეროვანი სახელმწიფოს დემოკრატიზაცია აადვილებს ეროვნულ კითხვის გადაჭრას. მაგრამ თვით ეს დემოკრატიზაცია რა პირობებში და რა ხასიათით წარმოიდგინება იმ დიდ სახელმწიფურ რკალში, რომელშიაც ერები თავიანთ პირადობის დასაცავად იბრძვიან; ეს უბრალო კითხვა არ გახლავთ. შვეიცარიას სწორედ დემოკრატია შველის და იფარავს დიდი ნაციონალური შფოთისაგან მხოლოდ იმ აზრით, რომ აქ დემოკრატია გულისხმობს, როგორც თავის პოლიტიკურ საფუძველს, ავტონომიას და საერთოდ ფედერატიულ ურთიერთობას. გააუქმეთ კანტონალური ავტონომიები და ნახავთ, თუ როგორ იფეთქებს ერთა ბრძოლა, კანტონალურ ხალხთა შეხლა-შემოხლა შვეიცარიის უნიტარულ დემოკრატიაში. სწორედ ასეთი ამბავი მოხდა ასი წლის წინედ, როდესაც საფრანგეთის მთავრობამ შვეიცარიის ხალხს ცენტრალისტურ — დემოკრატიული გაერთიანების პოლიტიკა მოახვია თავზე და ჰელვეციური ერთიანი რესპუბლიკა გამოაცხადა. მთელი ქვეყნის ერთ კალაპოტში ჩაყენების და ცენტრალური გაერთიანების უდიდესი ბაირაღტარი—ნაპოლეონიც კი იძულებული იყო აღეარებინა უნიტარული, ერთიანი, თუმცა დემოკრატიული, რესპუბლიკის შეუძლებლობა შვეიცარიის ხალხისთვის.

მართალია, ახალი ცხოვრების ვითარებამ განამტკიცა და გააძლიერა კონფედერაციის უფლება. ბევრი უფლება ჩამოერთვა კანტონს და გადაეცა კავშირს. მაგრამ საერთო კონფედერალურ საზღვრებში კანტონთა ავტონომიური ცხოვრება უზრუნველყოფილია და მათი კონსტიტუციონალური პირობა დაცული. უფლების შესანიშნავი პროფესორი ჰილტი ამბობს: „ყოველთვის, როცა ცენტრალური მთავრობა მოინდომებს კანტონალური საზღვრების წაშლას, კანტონები მყისვე ფეხზე დადგებიან და დაირაზმებიან, რომ თავის უფლებები და სუვერენიტეტი მთელი თავის ენერგიით დაიცვან. კანტონები იმდენ ხახს იცოცხლებენ, რამდენსაც თვით კონფედერაციაო“. და მაშინ, ვიტყვით ჩვენ, ერთა ბრძოლის გაჩაღებისთვის ყველა პირობები დამზადებული იქნება. სრული ცენტრალიზმი აუცილებლად დიდ ანტაგონიზმს შექმნის ნემეცურ და ფრანგულ შვეიცარიას შორის. როდესაც 1872 წელს ფედერალური კონსტიტუციის გადაშინჯვა ხდებოდა, და უფრო აშკარად დაისვა კითხვა კანტონთა ჰ ცენტრის ურთიერთული განწყოფილების შესახებ, ერთი შვეიცარიული გავლენიანი ნემეცური ჟურნალი ასე სწერდა: „ჩვენს თვალში არაფერი ისე საშიშარი არაა კონფედერაციისთვის, როგორც ეროვნებათა ანტაგონიზმის აღძვრა, მსუბუქადაც კი, ფრანგული და იტალიური შვეიცარიის უმცირესობათა შეზღუდვით. ეს იქნებოდა არა ფედერალური პოლიტიკა, არამედ პოლიტიკა ბისმარკული (ბისმარკისა). ჩვენ არ გვინდა „შვეიცარიის პოლონეთი“ ან „შ—იის ირლანდია“. ჩვენ გვინდა სრული თანასწორობა სამი ეროვნებისა, რომლებიც შეადგენენ კონფედერაციას, და არა შეურიგებელი ანტაგონიზმი, რომელშიც, მაგ.. ავსტრიის ერები ლეწავენ თავის საუკეთესო ძალებს“. და აი ეს სალი შეხედულება განხორციელებულია შ—ში დემოკრატიის და ავტონომიის პრინციპის აღიარებით და გატარებით. მხოლოდ ამას უნდა მიეწეროს შვეიცარიის მშვიდობიანი ინტერნაციონალური არსებობა.

ცენტრალისტური ტენდენციები უფრო ნემეცური შვეიცარიის დიდი კანტონების პოლიტიკურ წრეებში ნახულობს დამცველებს. პირიქით, ფედერალისტური ლტოლვილება ფრანგული შვეიცარიის წარმომადგენლებს ეჩნევათ.

წმინდა ნაციონალური პარტიები ფედერალურმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ არ იცის. ფედერალურ პარლამენტში ყველა პარტია თავის შემადგენლობით ინტერ-ნაციონალურია და ინტერ-კანტონალურია. არის კანტონალური პატარა პარტიები, რომლებიც ავტონომიურად არსებობენ და ადგენენ მერე ერთ საერთო პარტიას. ამ სახით საერთო ფედერალური პარტია პარტიათა პარტიაა. კანტონებში პარტიის ნაციონალური აგებულება ჰგავს კანტონის ნაციონალურ აგებულებას. მხოლოდ, როგორც ვსთქვით, შვეიცარიის პარტიების ფრანგულ ორგანიზაციებს (კანტონალურ პარტიებს) ეჩნევათ უფრო ფედერალისტური მიდრეკილება, ნემეცურ ორგანიზაციებს უფრო ცენტრალისტური. ნემეცური შვეიცარიის რადიკალები ცენტრალისტებია უმთავრესად, რომანულ შვეიცარიის რადიკალები კი ფედერალისტები. უკანასკნელთ სურთ ერთობა ფედერალური და ფედერალური ცენტრალიზაცია. მაგრამ კანტონალურ ავტონომიის ხელშეუხებლობასაც თავ გამოდებით იცავენ. აქ მოქმედებს დაუძლეველი შიში ნემცების უმრავლესობის წინაშე, შიში და საფრთხე გაგერმანელებისა.

განსაკუთრებული ნაციონალური პროგრამა არც ერთ პარტიას არ აქვს, რადგან ამის საჭიროება არ არის საგრძნობელი. ნაციონალური საკითხი თვით ცხოვრებას, ჩვეულებითი უფლებას და ფედერალურ და კანტონალურ კონსტიტუციებს აქვსთ განსაზღვრული და გადაჭრილი. დასამატებელი პარტიებს ჯერ-ჯერობით სჩანს არა აქვსთ რა. გამონაკლისს შეადგენს გრიზონის კანტონი, სადაც რომანელთა პოლიტიკური ჯგუფები აყენებენ თავის ენის კონ-ფედერალურ ენად გამოცხადების მოთხოვნას.

სარწმუნოებრივი საკითხი პოლიტიკას აღარ ამოძრავებს. პარტიების მთავარი ყურადღება პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ საკითხებისკენ არის მიქცეული. მუშათა ფედერალური პარტია, რომელიც კანტონალურ პარტიებისაგან შესდგება, ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ სდგას. ის ენერგიულად თხოულობს დემოკრატიულ უფლებების გაფართოებას (ქალთა უფლება, საკანონმდებლო ინიციატივა, ფედ. მთავრობის პირდაპირ ხალხის მიერ არჩევა და სხ.). ე. ი. დემოკრატიის კიდევ უფრო გადემოკრატებას. ის იბრძვის ამისთვის, მით უფრო მას შემდეგ, რაც ბურჟუაზია თავის პოლიტიკური იდეალების უარყოფის გზაზე შედგა და ხალხის თავისუფლების საქმის დაცვა თანდათან ერთიანად მის ხელში გადადის.

ამნაირად კერძო და საზოგადო, ადგილობრივი და ცენტრალური, კონფედერალური და კანტონალური, ერთობა და სხვადასხვაობა შვეიცარიაში ერთი-მეორეს ავსებს, ერთი ერთმანეთში ორგანიულად ზავდება და ადამიანს თვალწარმტაც პოლიტიკურ თაიგულად ევლინება. გასაკვირალი არ არის, თუ ასეთ პირობებში ერთა ბრძოლა თავს არ იჩენს დიდად და ნაციონალური კითხვა დამცხრალია“.

# ქუთაისის ამ-ბარში

თურმე ნუ იტყვით, გუბერნია არც ისეთი უზრუნველყოფილია, როგორც აქამდის ეგონათ მაზრის ადმინისტრატორებს. თურმე შიმშილობა გაზეთების მოგონილი კი არ არის, თავისთავად არსებობს და ხალხი დღეზე უდიდეს გაჭირვებას განიცდის.

ამ გარემოებას ეხლა, თურმე, ადასტურებენ ის ადმინისტრატორები, რომელნიც ერთი თვის წინად ბოქაულებისა და მამასახლისების მოწოდებული ცნობების [illegible] იძახოდნენ, გუბერნიი[illegible] ხმარება არ სჭირია, თავისით შესძლებს მოუსავლობის გადატანასო.

ეხლა, როცა იგივე სამაზრო ადმინისტრაცია მცხოვრებლების დახმარებით შესდგომია ხალხის გაჭირვების აღნუსხვას, იმ დასკვნამდე მისულა, რომ შიმშილი არსებობს და ხალხს დახმარება სჭირიაო.

შორაპნის მაზრაში, მაზრის კომიტეტის გამოანგარიშებით, ხალხის გამოსაკვებად საჭიროა არა ნაკლებ ერთი მილიონი ფუთი სიმინდისა, ხოლო სამეურნეო საზოგადოების მიერ შეკრებილი ცნობებით 130,000 ფუთია საჭირო. როგორც ხედავთ, განსხვავებაა ამ ორ ცნობათა შორის, არც ისეთია, როგორც კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ცნობისა. ეს შორაპნის მაზრა. ოზურგეთის მაზრიდან ახირებული ცნობა მისვლია გუბერნიის კომიტეტს.

უკვე ცნობილია, რომ დაკეულისა და ზღვის პირას ვაკე ადგილებში შარშან რიგიანი მოსავალი მოვიდა, ხოლო მთა-გორიან ადგილებში სიმინდს ტარო არც-კი გაუკეთებია. ოზურგეთის მაზრიდან მოსული ცნობით კი მთა-გორიანი ადგილებში იმდენი მოსავალი უნდა ყოფილიყო, რომ მაგალითად ერთ საბოქაულოში 4000 ფუთი სიმინდი საკმარისია თურმე ხალხის საჭიროებისათვის და ვაკე ადგილებს კი მეტი, თურმე, ეჭირვებათ.

ეს წაჯიქ-უჯიქობა ჰ გაუგებრობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ საგუბერნიო კამიტეტს წინად ურწმუნო თომათაგან შემდგარს, ეჭვი შეუტანია ამ ცნობებში და კვლავ შეჰკითხებიან ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციას ამ საგნის შესახებ.

საგუბერნიო კამიტეტს ეხლა უკვე სჯერა თურმე, „შიმშილი“ მოგონილი საქმე არ არის.

ერთი კამიტეტის წევრი გაუგზავნიათ შორაპნის მაზრაში და იქიდან დაბრუნებულს უცნობებია კოლეგებისათვის, რომ ხალხის მდგომარეობა უმწეოა და შიმშილობა სინამდვილეაო.

სხვა მაზრებიდან საგუბერნიო კომიტეტს ჯერ ცნობები არ მისვლია, მაგრამ ეჭვი არ არის ისინი დაადასტურებენ სამეურნეო საზოგადოების განყოფილების მიერ გამოკვლეულ სურათს მოუსავლობისას.

ეხლა ეჭვი აღარავის უნდა ჰქონდეს, რომ შიმშილობა არსებობს, მაგრამ როდის გაეწვდებათ დამ[შ]ეულთ მაშველი ხელი, ღმერთმა იცის.

**ელ. ხ. ქ.**

# ფოთლები

## 6

### „უსახელოს“

გუშინწინ საქართველოდან უსახელო ბარათი მივიღე შემდეგი შინაარსით: „რა არის, ბატონო ჩემო, მაგისთანა მითვისება კ. ჩუკოვსკის ჩვეულებისა: ააგებთ უშველებელ მწვადს ნაკლულევანებისას რაიმე თხზულებისას და ყანწით ხელში შესცქერით“.

მიღებულია, უსახელო ბარათს პასუხი არ გასცე, მაგრამ აქ ისეთი მოვლენაა ნაჩვენები, რომლის ჩაფუჩეჩება მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა ჩემთვის,—და მეც ორიოდე სიტყვით გადავსცემ ჩემს პასუხს ბ-ს „უსახელოს“.

ჯერ ერთი, თუ კი ყანწი ავიღე ხელში, რაღა ამ ნაკლიან მწვადს დავუწყებდი ცქერას,—და თუ ნაკლოთა ნაჭრები მწვადათ ავაცვი შამფურს, რაღა სალხინო ყანწს ავიღებდი ხელში; ვინც ჩემს სიტყვას იცნობს, ნათქვამს თუ დაწერილს, ვერ შემწამებს ვერც პირველსა და ვერც მეორესა.

მაგრამ ეს—„სხვათა შორის“: თავი და თავი სხვაა.

ბ. „უსახელო“ ჩუკოვსკის ჩვეულებას უთუოდ უარყოფით უცქერის; მე კი მართალი უნდა მოგახსენოთ, ქართული უახლესი მწერლობისათვის სწორედ ჩუკოვსკია საჭირო.

აბა დააკვირდით: შეგიმჩნევიათ თუ არა ქურდობა ჩვენს ლიტერატურაში, ქურდობა სიტყვის, რითმის, მგოსნური ხატის და ხშირად მთელი წინადადებისაც კი,—და თუ შეგიმჩნევიათ, არის თუ არა საჭირო ამის გამომზეურება?!

ან კიდევ: შეგიმჩნევიათ თუ არა, რომ რომელიმე ქართველს მწერალს ციტატა მოჰყავდეს იმ უცხო ენითგან, რომლის მარტო ანბანი თუ გაეგება,—და თუ შეგიმჩნევიათ, არის თუ არა საჭირო ამის ანუსხვა?!

და კიდევ: შეგხვედრიათ თუ არა ისეთი მწერალიც საქართველოში, რომელსაც მხოლოდ ყური მოუკრავს რომელიმე პრობლემისათვის

და ამავე დროს ზვიადი უვიცობით გარს უვლის მას,—და თუ შეგხვედრიათ, საჭიროა თუ არა მისი შენიშვნა?!

ან კიდევ: წაგიკითხავთ თუ არა ჩვენს პრესაში კრიტიკული სტატია, რომლის ავტორს უბრალო ტერმინებიც არ გაეგება (საფილოსოფიო ლექსიკონში მაინც ჩაიხედავდეს!)—და თუ წაგიკითხავთ, სცნობთ თუ არა საჭიროდ გამოამზეუროთ მისი თვალთმაქცობა?!

თქვენი რა მოგახსენოთ, ბ. „უსახელო",—და მე კი არა მარტო ეს, მრავალი სხვაც რამ მინახავს ჩვენს მწერლობაში ისეთი, რომელიც სასირცხოდ ეფინება ჩვენს კულტურულ ვითარებას,—და სწორედ ამის ასაცილავად არის საჭირო ჩუკოვსკის სალიტერატურო „ჩვეულება".

მიუხედავად იმისა, რომ მე, როგორც ხედავთ, უარყოფით არ ვუცქერ ჩუკოვსკის „ჩვეულებას", პირიქით, საჭიროდაც მიმაჩნევია იგი ჩვენი ლიტერატურისათვის, მე მაინც არ „მიმითვისებია" იგი; არ მიხმარია ასეთი „მანერა", რადგან ჩემს თავს ფელეტონისტად არა ვთვლი: აქ კი სწორეთ რომ მოსწრებული ფელეტონია საჭირო.

ერთად-ერთი წერილი, რომელშიაც თქვენ შეგეძლოთ „ჩუკოვსკობა" მოგეჩვენებოდათ, არის ჩემი უკანასკნელი „ფოთოლი" აბაშელის რითმის შესახებ.

მაგრამ ეს ხომ ჩუკოვსკის გამოგონილი არ არის: არც ვიცი, აქვს თუ არა მას რომელიმე პოეტის რითმების გარჩევა; რითმების შესწავლა არსებობს მას შემდგომ, რაც პოეზია მოევლინა ქვეყნიერებას; და თუ მაინცა და მაინც გსურდათ „ანალოგია" ამოგეჩინათ, უკეთესი იქნებოდა ჩუკოვსკის კი არა ანდრეი ბელის მითითება, რომელმაც ერთს თავის გამოკვლევაში („სიმბოლიზმი") შესანიშნავათ გამოარკვია მრავალი რუსი მგოსანი რითმის მხრით.

არც ისაა მართალი, ვითომ მე „მწვადდათ" ნაკლთა ნაჭრები გამოვიყენე: ჯერ ერთი, იმავ „ფოთოლში" ავნიშნე (თუმცა გაკვრით, მაგრამ მაინც), რომ აბაშელი ზოგიერთს ლექსში მძლავრი ხელოვანია; და მერე, აბაშელის სრული დახასიათება სხვა დროსთვის გადავდე, ხსენებულ „ფოთოლში" კი მხოლოდ ერთს მხარეს მივაქციე ყურადღება.

ეს კი საჭირო იყო: აბაშელს მე კარგათ ვიცნობ, მის ნიჭსაც ვაფასებ,—და სწორედ ამისთვის დავახასიათე მისი რითმა; შემდგომად, დარწმუნებული ვარ, აბაშელი ამ ნაკლს აიცდენს,—და ეს სასარგებლო იქნება როგორც მისთვის, ისე ქართული პოეზიისათვის.

გრ. რობაქიძე.

# მაგ. „როსსიის" საპასუხოდ

(საქართველოში რუსთა ახალშენების შესახებ).

„სახალხო გაზეთის" მე-1066 ნომერში წავიკითხე რუსეთის ოფიციალურ გაზეთ „როსსიაში" მოთავსებული წერილის თარგმანი საქართველოში და კერძოდ კახეთში რუსთა მოსახლეობის და მის გაძლიერების შესახებ. ჩემს აღელვებას საზღვარი არა ჰქონდა. გამოსულა ვიღაც თავხედი და იმდენი ჩვენი დამამცირებელი და რუსთა ასამაღლებელი ლათაიები შეუთხზავს, რომ გარემოების მცოდნე მკითხველს უეჭველად გაანცვიფრებს. მთელი სტატია ავტორის ფანტაზიას შეადგენს და სიმართლეს სრულიად მოკლებულია. ამნაირ სიცრუეს ჩვენ სრულებით ანგარიშს არ გავუწევდით, მაგრამ ის გარემოება, რომ ეს სტატია, ნამჯეა ქართველთა შეურაცხყოფის ქინით, მოთავსებულია ოფიციალურ ორგანოში და შეუძლიან შეცდომაში შეაყვანოს როგორც მთავრობა, ისე რუსეთის საზოგადოება, ვინაიდან მათ, მეტადრე რუსის საზოგადოებას და საზოგადო მოღვაწეთაც კი ჩვენზე ძლიერ ნაკლები წარმოდგენა აქვთ, იძულებულნი ვართ პასუხი გავცეთ და „როსსიაში" მოთავსებულ სტატიის სიცრუე გამოვამზეუროთ.

წერილის ავტორი ამბობს: „ახლად გადმოსახლებულნი მხოლოდ თავიანთ ძალზედ იყვნენ დამყარებულნი, ადგილობრივი მცხოვრებნი მტრულად შეხვდნენ მათ: იძულებულნი იყვნენ ცხარე ბრძოლა გაეწიათ სომეხ და ებრაელ მევახშეებთან, რომელნიც შიშობდნენ, რუსებმა მეტოქეობა არ გაგვიწიონო" და სხ. ერთი სიტყვაც არაა აქ მართალი. ახლ-გადმოსულთ მთავრობა დიდს შემწეობას უწევდა: საცა საჭირო იყო, ტყისაგან გაუწმინდეს სასახლე მამულები, მუქთად გადასცეს ქართველთაგან მზად გატეხილი და გამინდვრებული ნატყევრები ალაზნის გაღმა; აგრეთვე მუქთად გადასცეს რამდენიმე ათასი დესეტინა შენახული ტყე, ქიზიყის ხარჯით დაცული, რომელიც, როგორც მასალა, დიდს სიმდიდრეს წარმოადგენს; აუშენეს ქსენონები, სკოლები, საჩვენებელი ბაღი ინსტრუქტორებით, მისცეს ფულით დახმარება და სხვა. რაში გამოიხატა ადგილობრივ მცხოვრებთა მტრობა, ან სად გამონახა ავტორმა ჩვენში ჩარჩი ურიები? გვიპასუხოს ავტორმა.

შემდეგ სწერს: „მდიდარმა ნიადაგმა აანაზღაურა პირველ ხანებში გაწეული ხარჯი, სიმინდი და ღვინო ბარაქიან მოსავალს იძლეოდა მცოდნეთა ხელში. აგურით ნაგებ ფარდულებში ისხანს გერმანული სამუშაო მანქანები; ვენახები დასხლულია, გასუფთავებული და სხ." სწორედ საცინელია, როცა ჰკითხულობ ამ სტრიქონებს!.. ოცნების ბურუსშია ამის დამწერი!... უმრავლესთა სახლებიც კი წნულებია და ნამჯითაა დახურული. სახლებიც იშვიათია... სად ნახა ავტორმა ვენახები და ისიც „კეკლუცად დასხლულები", როდესაც ვაზის ხსენებაც კი არ არი ახალშენების სოფლებში? მართალია, ყველა რუსის სოფელში ბლომადა დგა ურემზე და „პოვოსკებზე" ღვინით სავსე ბოჭკები და ყველა რუსები (მალაკნებიც კი) კახურს ნუნუას კარგადა ჰყლაპავენ, მაგრამ ეს ნუნუა იმ „ზარმაც ქართველთ" მონაგარია, რომელთა სიძულვილი და დამცირების სურვილი ასე ნათლად გამოსჭვივის „როსსიის" მთელ სტატიაში!.. ჯერ ადგილობრივ ბაზარს არ დაუძლევია არც ერთი ფუთი ყურძენი, არც ერთი ვედრო ღვინო „მახვილ გონებიან" და „შრომის მოყვარე" რუსთა მარჯვენით მოყვანილი. ჯერ ვაზის მოყვანა მათ ქართველთაგან არ უსწავლიათ!..

შემდეგ განაგრძობს „როსსია": „გალატაკებული" ადგილობრივი მცხოვრებნი ეცნობებიან მიწათ-მოქმედების ახალ-ახალ საშუალებებს, მივიწყებულია რომაელთა დროის სახნისი, მის ნაცვლად ხმარობენ უახლესს გუთნებს, მიწის სიყვარული იფურჩქნება" (ჩვენში, ქართველებში, ავტ.) და სხვა.

რუსთა ახალშენები 6—7 წლისწადია, რაც გაშენდა. ახალი გუთნები კი 30 წელზეც მეტია. რაც შემოიღეს ჩვენში, მეტადრე სიღნაღის მაზრაში. ეს გარემოება კარგად უწყიან აუფერმანმა, უტაცმა და სხ. ფირმებმა ტფილისში.

„რუსის მოქალაქენი ყველაზე მტკიცედ და მკვიდრად დასახლდნენ სიღნაღის ღარიბ მაზრაში. ეხლა ამ მაზრის ქართველნი სხვა მაზრების მცხოვრებლებზე მდიდარნი არიან: უკუაგდეს მევენახეობის და მეღვინეობის ბარბაროსული წესები; თავის ახალ მეზობელთაგან ბევრი კარგი მაგალითი გადაიღეს"-ო. ამცნებს ქვეყანას ავტორი! აი, სიმართლე თუ გინდათ, ასეთი უნდა!..

სიღნაღის მაზრა, სხვა მაზრებთან შედარებით, ყოველთვის მდიდარი იყო მცხოვრებთა სამაგალითო გამრჯელობის და კულტურის სხვა და სხვა ინტენსიურ დარგთა მიდევნის წყალობით. ამ მაზრის სიმდიდრეს ძველადვე შეადგენდა ხვნა-თესვა, მევენახეობა, თამბაქოს კეთება, ცხვრისა და სხვა საქონლის მოშენება და სხ. ქართველთა მხნეობამ და კარგმა ნიადაგმა დიდი ხანია სახელი გაუთქვა რუსეთში და საზღვარ-გარედაც კი კახურს ღვინოს, რომლის სახელითაც ინათლება არა ერთი ათასი ვედრა რუსეთის სხვა და სხვა კუთხეების სურროგრატი. ახალმოშენენი კი, როგორც ზევითა ვსთქვით, სრულებით არ მისდევენ მევენახეობას, სრული უვიცნი არიან კულტურის ამ დარგში.

ქართველთ მათი მაგალითით მიწა შეუყვარდათო... ქართველთ მიწა მაშინაც კი გვიყვარდა, ვიდრე გულშემატკივარები გამოგვიჩნდებოდნენ და „როსსიის" საუბედუროდ ახლაც მათზედ მეტად გვიყვარს და შრომის უნარიცა გვაქვს. აი ამის საბუთები:

1) მიწის სიყვარულმა გადმოიყვანა ს. ჯუგაანის მცხოვრებნი მაწიმზედ. აქ მათ მიიღეს მთავრობისაგან 12 წლით სასახლე მიწები და ორის წლით სახნავი მიწები ყალაბუგუ და ჩადუნთალა. დასახლდნენ ჯუგაანელნი მაწიმზედ, გადახნეს მიწები და მეზობელი ლეკების მიწებიც აიღეს ქირით. მთავრობამ მათი სახლ-კარი გადაბუგა, ისინი გარეკა და მათ ადგილს რუსები დაასახლა. მიწის საჭიროებამ და სიყვარულმა აიძულა ცოდნელები 1911 წელს მიემართათ მეფის მოადგილისათვის დეპეშით: „გვრეკავენ, სიცოცხლის სახსარს გვართმევენ, ნება მოგვეცით მაინც, რომ მუსულმანობა მივიღოთ, რადგანაც ლეკები გვპირდებიან ამ შემთხვევაში მიწების მოცემასო. მათ ამ თხოვნაზედ, რასაკვირველია არაფერი პასუხი არ მიიღეს და გააძევეს. დამაფიქრებელია ეს ფაქტი. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში რომ შაჰაბასმა ერეთი გაანადგურა და ასი ათასი ქართველი მოაშორა თავის მიწა-წყალის და სპარსეთში გადარეკა, რამდენიმე სოფელმა მუსულმანობა მიიღო (საინგილოში). შაჰაბასმა ახალი ერთმორწმუნენი შეიწყალა, მათ ერთ მორწმუნობას პატივი დასდო და ისინი თავიანთ მიწა-წყალში დაამყოფა. მეოცე საუკუნეში კი ერთ მორწმუნე რუსეთმა ცოდნელები განდევნა, თავიანთსავე ტერრიტორიაში არ მისცა მათ არსების სახსარი და აიძულა ცდილიყვნენ, რომ სარწმუნოების გამოცვლით მაინც შეეძინათ დედა-მიწა, ერთად ერთი სახსარი გლეხის ცხოვრებისა—მიწა, რომელიც საცოდავ ცოდნელებს რუსებზე ნაკლებ არ უყვარდათ!..

2) მიწის სიყვარულმა აიძულა სამი კომლი აწიოკებული ცოდნელები იჯარით აეღოთ იქავ მაწიმზედ ვინმე კონკოვის ადგილი.

3) მიწის სიყვარულია, რომ ათასამდე კომლი ქართველთა გადმორეკა ქუთაისის გუბერნიიდან სიღნაღის მაზრაში და თ. ვაჩნაძეების მამული იჯარით აიღებინა.

4) ცოდნელების ალაგას მთავრობამ რუსები დაასახლა. ამ „მიწის მოყვარეებმა" მთელი ყალაბუგუ ქირით მისცეს „ზარმაც ქართველებს".

5) აგრეთვე იჯარით აძლევენ ქართველებს რომანოვკელები, ლაგოდახელი რუსები, ლარიოველები, გრაფოვკელები, დაშკოვკელები, ალექსეევკელები და მიხაილოვკელები. ყველა აქ ჩამოთვლილ სოფლების მიწებს იღებენ იჯარით იგივ ქართველები.

6) ხუთი-ექვსი წლის წინედ სახელმწიფო მიწაზე გაშენდა ერთად ერთი სოფელი შრომა. წინედ შრომელები ლაგოდახელ რუსების მიწებზედ იდგნენ და მიწებს მათგანა ქირაობდნენ. მათ არაფერი დახმარება არ გაუწია მთავრობამ, როგორც რუსებს უწევდა. მარტო მიწების კომლეურად დაყოფაში მათ 800 მან. გაიღეს. ეხლა შრომა საუკეთესო სოფელია ალაზნის გაღმა და ღაემჯობინა არა რუსების ახალშენების სოფლებს, რომლებიც ახლოა მასზედ, არამედ გაცილებით დაემჯობინა რუსების 50 წლის გაშენებულ სოფლებსაც. შრომელები არ კი აქირავებენ მამულს, პირიქით თვითონა ქირაობენ რუსებისაგან.

6) ს. შრომას გვერთ აკრავს ქართველთა სოფელი კავშირი, გაშენებული ნაყიდ მიწაზედ 6 წლის წინედ, მიბრძანდეს „როსსიის" თანამშრომელი და ნახოს ამ სოფლის სიკეკლუცე, მის მცხოვრებთა შრომის მოყვარეობა, შემოქმედება და ღამიანობა...

7) ლაგოდახის გარშემო რვა რუსის სოფელია და ორი ქართველისა. ამ სოფლების მიდამოებში, ლეკების ს. ბელაქანში და ყაბალჩოში და კაბალზედ, რომელშიაც ქართველები მოსახლეობენ, მუშავდება წლიწადში 200—300 დესეტინა თამბაქო და მთელი რუსების საკუთრებას შეადგენს 20—25 დესეტინა. მარტო შრომელებს მოჰყავთ რამდენჯერმე მეტი თამბაქო, ვიდრე მთელ რუსების სოფლებს.

8) რუსების რამდენიმე სოფელი: ლაგოდახი, მიხაილოვკა და საცხენისი დაარსდნენ მესამოცე წლებში. ამავე დროს გაშენდა ქართველთა ახალი-სოფელი. ამ სოფელში ისეთი გლეხი არ არი, რომ მშვენიერი ვენახი არა ჰქონდეს. წლიური გამოსავალი ამ სოფლისა რამდენიმე ათი ათას ვედრას უდრის. ქაჩის არაყი იგზავნება ტფილისში და წელს შუსტოვის კონიაკის ქარხანამაც წაიღო. მთელ რუსის სოფლებს კი დღიდან დაარსებისა ერთი ვედრა ღვინო, ან ერთი ფუთი ყურძენი არ მოუყვანიათ.

9) ქართველთა სიზარმაცის მტკიცება ისეთივე სიცრუეა, როგორც ის, რომ რუსებმა ქართველებს მევენახეობა ასწავლესო. სიღნაღის მაზრაში, სადაც უფრო მომეტებულად გადმოსახლეს რუსები, ქართველები, როგორც ზევით ვთქვით, მისდევენ მევენახეობას, ხვნა-თესვას, თამბაქოს მოყვანას, საქონლის გამრავლებას, აბრეშუმის მოყვანას და სხვა. საქმე იმდენად ბევრია, რომ ბალღებიცა მუშაობენ თავგანწირვით და მაინც მუშის ფასი ადის ზამთარში 80 კ. და ზაფხულში 1 მ. 80 კაპეიკამდე. საქმის პატრონის ხარჯით თვიურად თამბაქოში მოზრდილი ბალღი ღირს 20 მანეთამდე და დაჰაბუკებული ვაჟ-კაცი კი—25—40 მანეთამდე. მუშის სიძვირესთან ერთად, იმავ საქმის სიმრავლის მიზეზით, სამუშაო დღე დამატის დროს თითქმის 19 საათს აღწევს. ამნაირ ტიტანიურს ჯაფას, არა თუ იქ ეწევიან მხოლოდ, სადაც მუშა ჰყავთ დაქირავებული, არამედ იქაც, სადაც თვითონ ოჯახი მუშაობს. საზოგადოდ ყოველს საქმეს ქართველი განთიადამდე იწყობს და დაღამებისას ათავებს. სადილის შემდეგ რუსებმა ორი-სამი საათი შესვენება იციან და ძილსაც კი გამოაცხობენ ხოლმე. ქართველმა ამნაირი სინებივრე არ იცის: გაათავებს თუ არა სადილს, უმალ საქმეს მივარდება ხოლმე. საზოგადოდ რუსები არ არიან მხნეები, მეტადრე მამა-კაცები და ამ შემთხვევაში ქართველს ვერ შეედრებიან, გარდა ამისა ლოთობას მიმდევარნი არიან და ზნეობითაც ვერ დაიკვეხებენ.

აგრეთვე სიმართლეს ჰღალატობს ავტორი, როდესაც ამბობს: ეხლა ძნელად და იცნობს კაცი ამ სუფთა, დარბაისელ (?) შეძლებულ გლეხებში, უცხენო და ღატაკ გლეხს, როგორიც იყო იგი თავის სამშობლოში".

ახალშენები იმიტომ კი არ გადმოასახლეს, რომ იგინი უმიწონი იყვნენ და ღატაკნი, არამედ სხვა მიზნით. გადმოსახლებულთა შორის არიან ციმბირიდან გადმოსახლებული შეძლებული გლეხები. გრაფოვკელები გადმოასახლეს ბორჩალოს მაზრიდან, სადაც ყველას მიწები ჰქონდათ და დღესაცა აქვთ. მაგალითად ორ ძმათ ორლოვებს 40 დეს. მიწა აქვთ იქ დარჩენილი იჯარით გაცემული. დიახ! ორლოვები, რომელთაც მიწა საკმაო ჰქონდათ, გადმოასახლეს და ცოდნელს კი სახლები გადაუწვეს და გაყარეს.

რას ეტყვის ამის გასამართლებელს გაზეთი „როსსია" დომენტი მოდებაძეს, ორი გიორგის ჯვრის პატრონს, რომელმაც სისხლი არ დაზოგა უკანასკნელს ომში და შემდეგ ასე სამარცხვინოდ გააძევეს მამა-პაპეულ ადგილიდამ?.. რას ეტყვის ცოდნელთა აწიოკებულ ცოლშვილს უსახლკაროებს, მშივრებს, ცხოვრების უკანასკნელ სახსარ წართმეულებს, რომელთაც დომენტისავით მტკიცეთ უნდა შეასრულონ თავისი მოვალეობა სახელმწიფოსადმი მომავალში?..

ამნაირად მთელი „როსსიის" სტატია ტყუილზედაა აგებული. იგი გვაგონებს საფარის მონასტრის ყოფილ უფროსის ცნობილ არქიმანდრიტ პიისის მოწოდებებს, რომელსაც იგი რუსეთში ავრცელებდა. ამ მოწოდებებში იგი აცხადებდა რომ იგი, მამა პიისი, ავრცელებს ქრისტიანობას მუსულმანებში და სხვა წარმართებში როგორიც თათრებში ქურთებში, სომხებში და ქართველებშიო; თავისი ლოცვით და სიწმინდით არჩენს ავათმყოფთ და... მკვდრებსაც აღადგენსო"!

ამნაირ გაბედულ ტყუილებზეა აშენებული „როსსიის" წერილიც. ამას გარდა მასში ნათელია ჩვენი დამცირების სურვილი. მერე რათ დასჭირდა გაზეთს ამნაირი სიცრუის ბეჭვდა. აღ ბად იმიტომ, რომ დააჯეროს რუსეთის საზოგადოება ჩვენს უვარგისობაში და რუსთა გადმოსახლების გაგრძელების საჭიროებაში.

ამაზედ ვუპასუხებთ გაზეთ „როსსიას", რომ „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს", რომ, მართალია „ძალა აღმართა ჰხნავს", მაგრამ „სვინიდისიც კარგი საქონელია". ამნაირი პოლიტიკის გაგრძელება შეუძლებელია ქართველთადმი. იგი არამც თუ არ ემსახურება სახელმწიფოს კეთილდღეობას და მის განმტკიცებას, არამედ გაუსწორებელი ზიანი მოაქვს.

დააკმაყოფილეთ ჯერ მთელი ქართველი გლეხ-კაცობა მამულით და მერე ისე ასახლეთ რუსთა ახალშენები ჩვენში.

ნ. შრომელი.

# კათოლიკე ქართველები კონსტანტინეპოლში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ზამთრის ნისლიანი დღეა. ვზივარ კონსტანტინეპოლის ერთს ბინძურ ქუჩაზე, ერთს ბინძურ სახლის პატარა ოთახში და სევდით შეპყრობილი სივრცეს მივშტერებივარ. ქარი, თითქო გაბრაზებული დაუპატიჟებელ სტუმრის წევვაზეო, ზუილით ეცემა ჩემს ფანჯარას და შიგ თვალებში მესვრის წვრილ წვიმის ნაშხეფებს. ყიათი დარი თითქო განგებ ცდილობს სევდა გამიორკეცოს და უიმედობით შეიპყროს ჩემი გული. სწორედ ამ დროს მომდის პატარა ბარათი ქართულად დაბეჭდილი: „უფროსი წინამძღვარი უმანკო ჩასახების კათოლიკე ქართველთა ძმობისა, გილოცავთ ახალ წელიწადს და გთხოვთ დაესწროთ 14 იანვარს (ახალი სტილით), დილის ათ საათზე ქართულ გალობითი წირვას, ამ წელსაც მინიჭებულს წმიდა მამა პიო მეათესაგან". უნდა გამოგიტყდეთ, მაინც და მაინც დიდი ღვთის-მმოსავი და მლოცველი არა ვარ. მაგრამ სიხარულით ველოდი მეორე დღეს და კიდეც დანიშნულ დროს კათოლიკე ქართველთა ეკლესიაში ვიყავი. იქ უკვე თავმოყრილიყო კონსტანტინეპოლის კათოლიკე ქართველთა პატარა საზოგადოება. თუმცა ნებართვა ქართულად წირვისა მხოლოდ წინა დღით მოსულიყო, თუმცა ქართველები სტამბოლში ძალიან გაფანტული არიან, ავი დარიცაა, მაინც საეკლესიო დარბაზი ქართველებით სავსეა. დიდი თუ პატარა სიხარულით მიეგება ძმობის მოწოდებას და წელიწადში ერთხელ მაინც თავი მოიყარა საგვარეულო სამლოცველოში ქართულად წირვის მოსასმენად. წირვის წესი იგივე ორთოდოქსალურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რუსის სინოდის მაგიერ პაპი მოიხსენიეს. გალობს ძმობის სკოლის ქართველ მოწაფეთა გუნდი. სამწუხაროდ, გალობა ვერ გაკმაყოფილებთ. ალაგ-ალაგ ქართულ გალობის მაგიერ გესმით ბერძნული ერთხმოვანი ზაიათი. ქართულ კულტურისათვის ასე მოსიყვარულე, გულით მოსამსახურე ძმობას არ ეპატიება გულგრილობა ქართულ გალობისადმი. ბევრი მაძაგებელი, მტერი და ორგული ჰყავს ქართულ კულტურას თვით ქართველებშივე, მაგრამ რაც უნდა დაცემული იყოს ქართველი, რამდენადაც ბინძური გულით უცქერდეს ის მშობლიურ კულტურას, მაინც ისიც ვერ შესძლებს უარ ჰყოს, რომ ქართველთა როგორც საეკლესიო, ისე საერო მუსიკა მეტად მდიდარია. ქართველის კულტურული ღონე და თავისებური, საკუთარი შემოქმედება საზოგადოდ პოეზიაში შეურყევლად დამკვიდრებული უნდა ვცნოთ. მაგრამ ფუჭია სიმდიდრე, თუ მას პატრონი არ ეყოლება. იმედია, ეს მოვლენა აღარ გამეორდება. წირვის შემდეგ მთელი საზოგადოება ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სურათებით მორთულ დარბაზში შეიკრიბა. გაიმართა მილოცვა, გესმით ჩინებული ქართული, ძმური საუბარი, ერთმანეთის მოკითხვა. მაინც ჩემი ბედი ასეთია, სადაც უნდა წავიდე, უსათუოდ ქართველ საზოგადოებაში მოვხდები. თუმცა ათასჯერ თქმულა, მაგრამ ვიდრე ბოროტება არ მოსპობილა, მეც განვიმეორებ: რამდენად ტფილისს შორდები, იმდენად ქართველობა დაუცემელი და შეურყევლია. მაინც ამ ჩვენ დედა-ქალაქში მეტად გამრავლდნენ ქუჩის დიპლომატები. მამულდედული გაფლანგეს, ხელ-ცალიერი დარჩნენ, ეხლა მეტი რაღა გზა აქვთ, ქართველ ერის წარმომადგენლად უნდა დასახონ თავისი თავი. და განა კარგს რამეს უნდა მოველოდეთ ამ გზა-კვალ აბნეულ ხალხისაგან? მხოლოდ დროა, ჩვილს თავი დავანებოთ, ცოცხით შევიარაღდეთ.

ორმოციოდე წლის წინად კათოლიკე-ქართველთა რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენელნი, სამშობლოში შევიწროვებულ-შეწუხებულნი, უცხოეთს გადაიხვეწნენ, რათა აქ მაინც გაეჩაღებინათ კულტურული მუშაობა და აქედან შებრძოლებოდნენ სამშობლოში გამეფებულ ბოროტებას. პირველად მათ ვხედავთ საფრანგეთის ქალაქ მონთობანში. აქ დაბეჭდილი ქართული წიგნები დღესაც შეგხვდებათ. აქედან ეს მოღვაწენი გადმოვიდნენ კონსტანტინეპოლში, დაარსეს ძმობა, შეჰქმნეს მონასტერი და საძმობილოს დაახლოვებულნი უფრო მხნედ შეუდგნენ მუშაობას. სამწუხაროდ, ამ დიდ ადამიანებს არ აღმოუჩნდნენ შესაფერი მემკვიდრენი. ქართულ საქმეში ერთი ამშენებელი რომაა, სამი უსათუოდ დამრღვევი დამქცეველია. აქაც ისე იყო. მშვენიერი სტამბა უპატრონოდ დარჩა, სამწერლო მოღვაწეობა და წიგნების ბეჭდვა შესწყდა. ქართული წირვა-ლოცვა მოსპეს, დაგმობილ იქმნა პირველი მოღვაწეთა მუშაობა ქართულ ტიბიკონის აღდგენისათვის. რამდენიმე ბერმა წახალისიანებულმა თუ მოსყიდულმა ქართველთა მტრების მიერ გააფთრებული ბრძოლაც დაიწყო ქართულ ტიბიკონის წინააღმდეგ.

ძმობა ორად გაიყო. საერთო სისუსტემ დროებითი გამარჯვება ქართველობის ორგულთ არგუნა: [illegible] შეუდგნენ იმის მოსპობას, რაც წინედ გაეკეთებიათ. საუკეთესო საშუალება ამ შემთხვევაში იყო მრევლის და ეკლესიის გათიშვა. ეკლესია შენობა ხომ არ არაა, ესაა მორწმუნეთა საზოგადოება. თუ ძმობას მრევლს ჩამოაშორებ, უეჭველად მის ზნეობრივ გავლენასაც დაამცირებ. და აი სწორედ ძმობისავე რამდენიმე წევრის უკუღმართი მოქმედების წყალობით ქართველი მრევლი მოიშალა. ქართველები დაფანტეს და სხვა და სხვა კათოლიკურ ეკლესიებს მიაწერეს, რომელთა რიცხვი კონსტანტინეპოლში მრავალია. ამნაირად კათოლიკე ქართველს მოესპო საშუალება ბავშვი ქართული წესით მოენათლა, გარდაცვალებული დაესაფლავებია და სხვა. მაგრამ დამარცხდნენ ბოროტი მოღვაწენი. გამომჟღავნდა თუ არა მათი ბნელი მოქმედება, მყისვე მიიმალნენ და ეხლა ჩუმად წყვდიადში, სამწუხაროდ, მაინც განაგრძობენ თავიანთ მავნე მუშაობას. დღეს ძმობის სათავეში დგას რამდენიმე პირი, რომელთა უწმინდესი მისწრაფებაა განაგრძონ ძმობის დამაარსებელთა მოღვაწეობა და შეასრულონ ის, რაც მათ ვერ შესძლეს.

კონსტანტინეპოლში ქართველობა მეტად ბევრია. აქ ღარიბიცაა და მდიდარიც. ბევრი ჩინებული ქართველიცაა. თუ შეგროვდა, უსათუოდ დაგპატიჟებს და უხვად გაგიმასპინძლდება. პოეტურად აჭიკჭიკდება სამშობლოს სიყვარულისთვის, განსაკუთრებით, როცა ღვინით სავსე ჭიქას აიღებს, მაგრამ ვერც ერთს ოჯახში მე ჯერ ქართულ მწიგნობრობის ნიშანი ვერ ვნახე. ისევ თუ გინდა ქართული წიგნი წაიკითხო, ქართული გაზეთი იპოვო, ქართველობას ცოტაოდენი ამბავი გაიგო მაინც ცოტა, ძმობას უნდა მიმართო. აქ პატარა სკოლაცაა. თოთხმეტამდე ქართველი ბავშვი სწავლობს დღეს, სკოლა ისეთივე „ქართულია", როგორც სხვა მზგავსი „ქართული" სკოლები. სწავლა ფრანგულ ენაზე სწარმოებს, მხოლოდ ქართულს ასწავლიან როგორც საგანს. სკოლის ხელმძღვანელნი მოწადინებულნი არიან სულ ქართულ ენაზე აწარმოვონ სწავლა, და თუ ეს თავისი წადილი ვერ განუხორციელებიათ, მიზეზად სახელმძღვანელოების უქონლობას ასახელებენ. მართლა, ჩვენდა სამარცხვინოდ საკმაო სახელმძღვანელოები არ მოგვეპოვება. ეხლა თვითონვე ცდილობენ ეს ნაკლი შეავსონ და საკუთარ სტამბაში დაბეჭდონ მეცნიერების ყოველი დარგიდან შესაფერი სახელმძღვანელოები. იმედია, ყოველი ქართველი, რომელსაც შეუძლია ამ დარგში სამშობლოს ემსახუროს, შემთხვევით ისარგებლებს და თავის ნაშრომს მიაწვდის ძმობას დასაბეჭდად.

თუ კათოლიკე ქართველთა სიხარულს ქართულად წირვის შესრულებისათვის მეც ვიზიარებდი, უნდა გამოგიტყდეთ, სევდა ჩემში გაცილებით მეტი იყო. ნუ თუ იმ ერს, რომელსაც თვრამეტი საუკუნეა რაც ქრისტიანობა მიუღია, დღეს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა უნდა ენატრებოდეს? განა ამაზე უფრო მეტი დაგლახება კიდევ შეიძლება? საერთო დაცემის ხანაში სარწმუნოებაც კი ჩვენ წინააღმდეგ წავიდა. არც ორტოდოქსობამ, არც კათოლიკობამ არ შეგვიბრალა. მესმის კიდევ, როცა წუთიერი სარგებლობით, დიდებით, თუ სხვა გზით მოსყიდვით მიზიდული სუსტი არსება თავის გვარს, ეროვნობას ღალატობს. მაგრამ ვერ გამიგია, რით მიიზიდეს სომხებმა კათოლიკე ქართველები? პოლიტიკურის სიმდერით? მართალია, დღეს სომხები უფრო მოხერხებული პოლიტიკოსები არიან, ვიდრე ჩვენ, მაგრამ მაინც და მაინც დიდი სანუგეშო მდგომარეობაში არც ისინი არიან. კულტურით? ქართველი ერი მათ არც კულტურით ჩამორჩება. მოსყიდვით? შეიძლება ერთი-ორი, ათი კაცი მოისყიდოთ, მაგრამ ხალხის მოსყიდვა არც ისე ადვილია. მაშ, მიზეზი თვით ქართველობაში უნდა ვეძიოთ. ვეძიოთ იმ სულიერ-დაცემაში, როცა ადამიანთა საზოგადოება დაკარგავს ერთობის მცნებას, იქცევა ბრმადა, რომელსაც ყოველი ამვლელ-ჩამვლელი ადვილად ეპატრონება. ჩვენც ეს უბედურება გვეწვია და დროზე ვერ შევნიშნეთ. ეხლა მაინც წამოვდგეთ, წელში გავიმართოთ, დროებითი შეცდომა გავასწოროთ. თუ კათოლიკე ქართველობას დღეს ქართული წირვა-ლოცვა არ აქვს, უწინარეს ყოვლისა, თვით ქართველთა ბრალია. თვით კათოლიკე ქარ-

თველობაში დღესაც არის საგრძნობელი ნაწილი, რომელიც შეუგნებლობით სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებას ერიდება. ეს დიდი უბედურება არა მარტო კათოლიკე ქართველობისთვის, არამედ მთელი ერისთვის უნდა მოისპოს მთელი ქართველი ერისთვის შემარცხვენელი პროცესი ქართველთა გასომხებისა. და ყოველ უწინარეს თვით კათოლიკე ქართველობამ უნდა ითაოს. ქართულ ტიპიკონის აღდგენის საქმეში კონსტანტინეპოლის მცირედი ძმობა ვერაფერს გახდება, თუ ხალხი მას მხარს არ დაუჭერს. დღეს ჩვენ ეროვნულ შემოქმედების ყოველ დარგში კათოლიკე ქართველთაც საპატიო ადგილი უჭირავთ. მე ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ მათ, მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს, შეაგნებინონ შეუგნებელთ, შეებრძოლონ ორგულთ, შეადგინონ ერთი კომიტეტი და შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ საქმეს, რის ღირსეულად დაგვირგვინება დიდი სამსახური იქნება მთელი ქართველი ერის წინაშე.

ხოლო კონსტანტინეპოლის კათოლიკე ქართველთა ძმობას ვუსურვებ წარჩინებულ წინაპართა საქმე მხნეობით და გულმოდგინებით განეგრძოთ და თავისი მცირედი წვლილიც შეიტანონ საერთო ეროვნულ კულტურაში.

ნ—ი.

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

17 იანვრის სხდომა.

**ვარუნ-სეკრეტი** თავმჯდომარეობს.

უკამათოდ მიიღეს რამდენიმე კანონ-პროექტი. ნაკაზის პროექტის განხილვა გრძელდება.

**გერასიმოვი** უპასუხებს შუბინსკის და აღიარებს, რომ მის მიერ გამოთქმული აზრი შეკითხვათა კომისიის უფლებაზე პრინციპიალურად არ არის მიზანშეწონილი. თუ ფაქტების შემოწმების გზას დავადგებით, მაშინ სათათბიროს უფლება უნდა მიეცეს დაარსოს საანკეტო კომისიები; მომხსენებლებს კი რომ მივანდოთ შეკითხვაში აღნიშნულ ფაქტთა შესწორება და გამოძიება, სახიფათო იქნება, რადგანაც მისი გამოძიება შეიძლება მცდარი გამოდგეს და სათათბირო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება.

**იაგოლინსკი.** შეკითხვის მასალის შემოწმება კომისიის აუცილებელ მოვალეობას არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ მას უფლება უნდა მიეცეს შეამოწმოს მასალა მაშინ, როდესაც იგი საჭიროდ ცნობს.

**მაკლაკოვი.** პირველ ყოვლისა საჭიროა შეკითხვათა მსვლელობის დაჩქარება, რათა მათ არ ეკარგებოდეთ ცხოველმყოფელობა. შეკითხვათა კომისიამ შეკითხვა იურიდიულის მხრით უნდა განიხილოს; ფაქტების შემოწმება კი კომისიის მოვალეობას არ უნდა შეადგენდეს. მასალის პასუხის-მგებლობა თვით შემკითხველებს უნდა დაეკისროს.

**მომხსენებელი.** საჭიროა შეკითხვის განხილვისათვის ერთი სხდომა დაინიშნოს. იგი წინააღმდეგია იმ წინადადებისა, რომ შეკითხვები უკამათოდ იქმნას მიღებული, რადგანაც ამით შეძლებას ვართმევთ შეკითხვის მოწინააღმდეგეთ თვისი აზრი გამოსთქვან.

**მაკლაკოვი** კომისიის წინადადების მომხრეა. შეკითხვის სისწრაფეზე ლაპარაკის დრო ათი წუთით განისაზღვროს.

**სკოროპადსკის** აზრით საჭიროა შეკითხვის უკამათოდ მიღება.

**ლიუცი.** ათი წუთის ლაპარაკი შეკითხვის სისწრაფეზე სრულიად საკმარისია; კომისიის მოვალეობას არ უნდა შეადგენდეს მასალის შემოწმება, რადგანაც ამით პასუხისმგებლობა სათათბიროს დაეკისრება.

**კერენსკი.** მემარცხენენი მუდამ იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება შეამცირონ დრო შეკითხვის მიღებისა და მთავრობის განმარტების შუა. კომისიის მიერ შემუშავებულ მუხლები სრულიად შეუძლებლად ჰხდიან შეკითხვის თაობაზე ლაპარაკს.

**შუბინსკი** თვის შესწორებას ტოვებს. შეკითხვის უკამათოდ მიღება საგნებით არის შესაწყნარებელი.

**მილიუკოვი.** შეკითხვათა სიმრავლე იმას ამტკიცებს, რომ დეპუტატები სინდისიერად ასრულებენ თვის მოვალეობას და ფხიზლად ადევნებენ თვალყურ მთავრობის მოქმედებას. შეკითხვათა უფლება არ უნდა შეიზღუდოს. იგი სწორ კალაპოტში უნდა ჩადგეს. შეკითხვათა უფლებას ისეთი ხასიათი უნდა მიეცეს, რომ იგი არ შეიქმნეს მთელ სათათბიროსა და მთავრობის დავის საგნად; იგი უბრალო კითხვა უნდა იყოს; კომისიის მოქმედებაზე დარგში შეკითხვის ფორმალურ განხილვით უნდა განისაზღვროს.

**ალექსანდროვი.** შეკითხვათა უფლებას იმიტომ არა აქვს ძალა, რომ სათათბირო არ წარმოადგენს უფლება მოსილ სახელმწიფო დაწესებულებად, იგი პოლიტიკურ კარიკატურას წააგავს.

**მომხსენებლის** უკანასკნელ სიტყვის შემდეგ კენჭის უყარეს ნაკაზის პროექტის იმ მუხლებს, რომელიც ეხება შეკითხვის შეტანისა და განხილვის წესრიგს. ყველა მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს, გარდა 110 მუხლისა; ამ მუხლით ვიდრე შეკითხვის განხილვას შეუდგებოდა სათათბირო, კენჭს უყრიდა, ჰსურს თუ არა სათათბიროს შეკითხვა უკამათოდ მიიღოს. სათათბირომ ეს მუხლი უარჰყო.

**მეფის მოადგილის რწმუნებული** განმარტებას იძლევა კავკასიის ზოგიერთ ადგილში მოუსავლობის გამო დაზარალებულთა სასარგებლოდ ზომების მიღების შესახებ. ნიკოლსკიმ განაცხადა: თავის დროზე მეფის მოადგილემ მიწერილობა გაუგზავნა ოლქებისა და გუბერნიების უფროსებს წარმოედგინათ ცნობები მოუსავლობისა და დაზარალებულთა რაოდენობაზე; ამ ცნობების მიღების შემდეგ გასულ წლის დამლევს შინაგან საქმეთა მინისტრს წინადადება მისცა საიმპერიო სასურსათო თანხიდან გაეღო საჭირო ფული მცხოვრებთათვის თესლეულობისა და სანოვაგის მისაწვდენად, აგრეთვე საქონლის შესანახადაც, ეს წინადადება ასე თუ ისე დააკმაყოფილა მინისტრმა, დაღესტნის ოლქისთვის საიმპერიო თანხიდან გაიცა 503.000 მ., ყარსის ოლქისთვის სანოვაგის მისაწვდენად წინდა-წინ გადაიდო 100.000 მ., ერევნის გუბერნიისთვის საჭირო თანხა უდრის 750.000 მ., აქედან გაცემულია უკვე 300.000 მ., ტფილისის გუბერნიისთვის ადგილობრივ წყაროებიდან და საიმპერიო თანხიდან ერთად გადაიდო 181.000 მ., ბაქოს გუბერნიისთვის წინ-და-წინ გადაიდო 30,000 მ, ქუთაისის გუბერნიისთვის საჭირო თანხა საბოლოოდ გამორკვეული არ არის, ჯერ-ჯერობით ავანსად გადაიდო 75.000 მ.. მეფის მოადგილის განკარგულებით მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთ გადასახადების აკრეფაში შეღავათი მიეცემათ; ამასთანავე მეფის მოადგილემ განკარგულება გასცა ძალდატანებითი ზომებს ნუ მიჰმართავენ, თუ გადასახადების შემოსვლაში რაიმე დაბრკოლება აღმოჩნდა. მეფის მოადგილეს უფლება აქვს მინიჭებული კერძო შემთხვევებში ფულის სახით დაეხმაროს მცხოვრებთ, მცხოვრებთათვის ფულით დახმარება უფრო სამჯობინარი იქნება. საიმპერიო თანხიდან გაღებული ფულის საერთო რიცხვი ერთ მილიონს აღემატება. თუ საჭირო იქნება თანხის გადიდება, ეს დაუყონებლივ იქნება სისრულეში მოყვანილი.

ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში მოუსავლობას თუმცა სერიოზული ხასიათი აქვს, მაინც ამას შედეგად მცხოვრებთა ეკონომიურ მდგომარეობის დაქვეითება არ მოჰყვებაო.

მთავრობის განმარტების განხილვა გადაიდო ერთ-ერთ მომდევნო სხდომისთვის.

შემდეგი კრება 21 იანვარს მოხდება.

# სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტერბ. სააგენტო).

17 იანვრის სხდომა.

**გოლუბევი** თავმჯდომარეობს.

განაგრძობენ მაგარ სასმელების გაყიდვის კანონ-პროექტის განხილვას. დიდი კამათი გამოიწვია პირველმა მუხლმა, რომლის ძალითაც სასოფლო და საოლქო ყრილობას მიენიჭება უფლება შეადგინოს ასაკრძალავი დადგენილება.

**ანდრეევსკი** მხარს უჭერს სათათბიროს პირველ მუხლში. საბჭოს კომისიის რედაქცია რომ იქნეს მიღებული გამოვა, რომ რუსეთი გაყოფილია მოქალაქეების ორ წყებად. სოფლების მცხოვრებლები, რომელთაც უფლება აქვთ თავი დაიცვან ლოთობისაგან და ქალაქის მცხოვრებლები, რომელთაც ასეთი უფლება არ აქვთ. მას შესწორება შეაქვს, რომლის მიხედვითაც ქალაქის საბჭოებს და მათ ნაცვლად დაწესებულებებსაც უფლება ეძლევათ ქალაქებსა და დაბებში, შეადგინონ ასაკრძალავი დადგენილებანი ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებშიაც, საერთო დადგენილებასთან ერთად. უფლება ეძლევათ აკრძალონ არამც თუ სპირტი, არამედ ყოველივე მაგარი სასმელი, შეამცირონ სასმელების მაღაზიები სახაზინო და კერძო და ზომიერად განაწილდეს ეს დუქნები უბნებში.

**კრამერი** ემხრობა კომისიის წინადადებას, მაგრამ წინააღმდეგია წინადადებისა, რომელიც ამბობს, რომ შეიძლება მაგარ სასმელების წინააღმდეგ ბრძოლა ლუდის გავრცელებით. ლუდის შემოღებას არცერთ ქვეყანაში არ შეუმცირებია მაგარ სასმელების ხმარება. გრაფი **ოლსუფიევი** მხარს უჭერს ანდრეევსკის შესწორებას.

ფინანსთა მინისტრის განმარტების შემდეგ, საბჭომ კენჭი უყარა თავის კომისიის წინადადებას და უარჰყო იგი. საბჭო დაეთანხმა სათათბიროს წინადადებას და დაადგინა: უფლება მიენიჭოს საოლქო და სხვადასხვა სასოფლო ყრილობებს ქალაქებსა და დაბებში კი საბჭოების დაგვარ დაწესებულებებს, რომლითაც მათ შეუძლიათ აღკრძალონ მაგარ სასმელების გაყიდვა. გარდა ამისა მიიღეს გურკოს შესწორება, რომლითაც ქალაქის საბჭოებს ნება ეძლევა, დააწესოს უდიდესი რიცხვი როგორც სახაზინო ისე კერძო ადგილებისა მაგარ სასმელების გასაყიდად, გარდა ამისა სწორი განაწილება რაიონებში ამ ადგილებისა. შემდეგი კრება 18 იანვარს მოხდება.

# ყაჩაღ იმერლიშვილის ბრბოს მოქმედება

1909 წელს, ეს ბრბო სრულებით ამოწყვეტილი იქნებოდა, ტფილისის პოლიციას რომ უნარი გამოეჩინა. მაშინ ტფ. მაზრის უფროსმა ცნობები მიიღო, რომ მთელი ბრბოთ ყაჩაღებისა, რომელსაც იმერლიშვილი და ფიქრიშვილი მეთაურობდნენ, შეფარებულნი იყვნენ მამკოდის ტყეში, სოფ. ავჭალიდან ხუთი ვერსის მანძილზე. იმავე წლის შემოდგომის დასაწყისში ამ ყაჩაღების შესაპყრობად გაგზავნილი იყო მაზრის უფროსის თანაშემწე ორმოცი საერობო დარაჯით.

პოლიციელთა რაზმი ყაჩაღების ბანაკთან მივიდა ღამით, გათენებამდე ადრე, ჩამოქვეითდა, ცხენები მთის ძირში დასტოვა და ფრთხილად იწყო ფოფხვა აღმართით მხათლოთი დაბურულ ბუჩქებში. კარგა მაღლა რომ აფოფხდნენ, მიადგნენ პატარა მინდორს. აქ იყო ყაჩაღების ბანაკი; ეს ადგილი სხვათა შორის საუცხოვო იყო საზვერავად. მინდორის ერთი ნაწილი შემოღობილი იყო ფიჩხით, რომლის იქით ფარდული იყო გაკეთებული. პოლიციელთა რაზმი ჩასაფრდა ჩირგვებში. ბანაკს არავითარი მოძრაობა არ ეტყობოდა. მხოლოდ შემოღობილის იქით ოდნავ სჩანდა დარაჯის ლანდი ნაბდითა და ფაფახით. რაზმი დარწმუნებული იყო, რომ ნაბდიანი კაცი დარაჯია და, როგორც კი ირაჟრაჟა, ბანაკს სროლა აუტეხეს. ტყვიებმა სრულებით დაცხრილეს ღობე. თოფის ხმა ტყეში კარგა ხანს გუგუნებდა. პასუხი კი არსაიდან ისმოდა. დარაჯები კი განსაკუთრებით იმით იყვნენ გაოცებულნი, რომ დარაჯი ისევ თავის ალაგას იდგა, არც კი განძრეულა. ერთი საერობო დარაჯთაგანი მიცოცდა ღობესთან და შეჰხედა ფიგურას, რომელიც კაცი კი არა უბრალო ბოძი აღმოჩნდა, რომელსაც წამოსხმული ჰქონდა ნაბადი და ფაფახი ეხურა. ბანაკი გაჩხრიკეს და აღმოაჩინეს რამდენიმე თოფი, სახაზინო ყალიბის რევოლვერი, ხანჯლები, პატრონები, 2 ყუმბარა, ყუმბარების საკეთებელი ხელსაწყო, საუცხოვო საზვერავი მანქანა, ინგლისური ხელთბისა, დაცლილი ტიკები ღვინისა, ბოთლები, ჩაის ჭურჭელი, მაზარები, აუარებელი კეტი და სხვა ნივთები. ეს ნადავლი ტფილისში წამოიღეს.

ამ დროს კი იმერლიშვილი და ფიქრიშვილი თავის ამხანაგებით იმ ღამეს შორს იყვნენ 20 ვერსის მანძილზე, სოფ. ნორიოში ეძებდნენ მამასახლისს, რათა შური ეძიათ მაზე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მათ დევნაში. მამასახლისი ვერ ნახეს, ჯავრი იყარეს მის ნაცვალზე და დარაჯზე, რომელნიც შუა სოფელში მოჰკლეს.

# ლეო მეხელინი

ჰელსინგფორსიდან დეპეშებში ცნობა იყო, ფინლანდიის სენატის თავმჯდომარედ ნამყოფი ლეო მეხელინი გარდაიცვალაო. განსვენებული ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთაგანი იყო ფინლანდიისა.

ლ. მეხელინი დაიბადა ფრიდრიჰგამში 1839 წელს. მისი მამა კადეტთა კორპუსის ინსპექტორად იყო. ლეო მეხელინი 1856 წელს შევიდა უნივერსიტეტში საფილოსოფიო ფაკულტეტზე; 1860 წელს დაასრულა ეს ფაკულტეტი და შემდეგ 1864 წ. ჩააბარა ეგზამენი იურიდიულ ფაკულტეტისა. 1873 წელს დაიცვა დისერტაცია შვეციის სახელმწიფოებრივ სამართალზე, რისთვისაც დოქტორობის ხარისხი მიიღო. იმავე წელს გამოაქვეყნა მეორე შრომა სახელმწიფოთა შეერთებაზე. 70—80 წლებში იგი რამდენჯერმე იყო ლანდტაგის წევრად. 1882 წელს დაინიშნა სენატორად და 1890 წლამდე ამ თანამდებობაში დარჩა. მთელი თავისი სიცოცხლე და მოღვაწეობა მეხელინმა შესწირა კონსტიტუციის იდეისა და თვის სამშობლოს—ფინლანდიის უფლებათა დაცვას. მთელ თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში ამ ორი რწმენისათვის მეხელინს ერთხელაც არ უღალატნია და, სიტყვით თუ საქმით, კონსტიტუციის იდეის გამარჯვებასა და ფინლანდიის აყვავებას ემსახურებოდა.

1874 წელს მეხელინი პროფესორად იყო ჰელსინგფორსის უნივერსიტეტში სახელმწიფო სამართლის კათედრაზე. მან შეადგინა მშვენიერი სახელმძღვანელო ფინლანდიის სახელმწიფოს უფლებისა, მაგრამ მეხელინმა მალე მიატოვა სამეცნიერო კაბინეტი, პროფესორობის მოღვაწეობა და სულითა და გულით მიეცა პოლიტიკურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მან თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. მაშინ ჯერ კიდევ ფინლანდიის მართვა-გამგეობა წესიერ და მშვიდობიან კალაპოტში იყო ჩაყენებული. თავისუფალ დროს მეხელინი ანდომებდა საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა კონგრესებსა და კონფერენციებზე. მეხელინი ყველგან და ყოველთვის გამოდიოდა მედგარ დამცველად სამართლიანობისა და უფლების პრინციპისა. მისი ღრმა რწმენით, უფლებას უნდა დაეთრგუნა უხეში ძალა. მეხელინი ხშირად გამოსულა დაჩაგრულ ერთა დამცველად, მაგრამ მეხელინის მთავარი სათაყვანებელი საგანი სამშობლოს უფლებათა დაცვა იყო, ამ მხრივ მეხელინის ღვაწლი ფინლანდიისათვის განუსაზღვრელია. იგი მედგრად იგერიებდა გამარუსებელთა ყოველივე ცდას და ფინლანდიის დამოუკიდებელ განვითარებას ხელს უწყობდა. დადგა ფინლანდიისთვის შავბნელი 1890 წელი. ფინლანდიის მშვიდობიანობაზე იერიში მიიტანეს. მეხელინი უმალვე ჩაუდგა სათავეში საპროტესტო მოძრაობას, რის გამოც იგი გაძევებული იყო ფინლანდიიდან.

1905 წელმა კვლავ დაუბრუნა, დროებით მაინც, ფინლანდიას დაკარგული უფლებანი, შეძლება მისცა გაძევებულ მამულიშვილთ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. მეხელინიც დაბრუნდა ფინლანდიაში. მას ხალხი აღფრთოვანებით მიეგება და დიდი ზეიმი გაუმართა. აღსანიშნავია, რომ ფინლანდიის დემოკრატიზაციაში მეხელინი თვალსაჩინო როლს თამაშობდა. მეხელინი დაინიშნა ფინლანდიის სენატის ვიცე-თავმჯდომარედ; მისი ხელმძღვანელობით ფინლანდიის მთავრობამ მრავალი დემოკრატიული რეფორმა შეიმუშავა: ოთხ-წოდებიანი ლანდტაგი გადაიქცა ერთ დემოკრატიულ პალატად, ქალებს მიენიჭათ ფართო საარჩევნო უფლება, შემუშავდა სხვა და სხვა აქტები რუსეთისა და ფინლანდიის ურთიერთობის თაობაზე, აგრეთვე შემუშავდა მრავალი კანონები სოციალურის ხასიათისა.

მაგრამ აქვე დაიწყო ხანა ფინლანდიის რუსიფიკაციისა. მრავალი კანონი ვერ ეღირსა უმაღლეს სანქციას. მეხელინი იძულებული იყო მიეტოვებინა თანამდებობა.

მეხელინს ბოლო დრომდე არ აუღია ხელი მოღვაწეობაზედ და სიკვდილის პირამდე ერთგულად ემსახურებოდა თავის რწმენას. იგი გარდაიცვალა 75 წლისა.

# მუშათა ცხოვრება

9 იანვარი რუსეთში.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის მუშებმა 1905 წელს 9 იანვრის აღსანიშნავად გაფიცვა გამართეს. რუსეთის მუშები ამ დღეს ყოველწლივ იფიცებიან, მაგრამ გაფიცვას არცერთხელ ისეთი ერთსულოვანი ხასიათი არ ჰქონდა, როგორც ამ წელს, მუშებმა სწრაფი კრება მოახდინეს და დაადგინეს გაფიცვა მოეხდინათ. პოლიციამ სასტიკი ზომები მიიღო გაფიცვის ასაცილებლად. 9 იანვრის წინა დღეებში დააპატიმრეს და გაჩხრიკეს მრავალი მუშა. პოლიციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახაზინო ქარხნებისა და მუშების უბნების დაცვას. მთავარ ქუჩებზედაც წინდაწინვე პოლიციის გაძლიერებული რაზმები იყო დაყენებული. ყველაზე ძლიერი გაფიცვა მოხდა ვიბორგის მხარეს. რასტერიაევის ქარხნის მუშები, რიცხვით 4,000 კაცი, გამოცხადდნენ სახელოსნოებში და ადმინისტრაციას განუცხადეს, რომ ისინი არ იმუშავებენ. აგრეთვე გაიფიცნენ სხვადასხვა უბნის მუშები. გაფიცულთა საერთო რიცხვი 170,000 უდრიდა. გაფიცულნი ქუჩებში დემონსტრაციებს ახდენდნენ; ჰმღეროდნენ სარევოლიუციო სიმღერებს და სხვ. პოლიციას ფხიზლად ეჭირა თვალი და მუშებს დემონსტრაციის გამართვას უშლიდა ხელს. მუშებს მრავალჯერ მოუხდათ შეტაკება პოლიციასთან. იმ დღეს პოლიციამ მრავალი მუშა დააპატიმრა. საპოლიციო ნაწილი სავსე იყო დაპატიმრებულებით. დააპატიმრეს ორასამდე მუშა. ქუჩებში მანიფესტაციებისა და დემონსტრაციების მოხდენა საღამომდე არ შეწყვეტილა.

# უცხოეთი

**ალბანეთი.** ესად ფაშამ საერთაშორისო საკონტროლო კომისიის წევრებს განუცხადა, რომ საპოლიტიკო მოღვაწეობაზე იგი უარს არასდროს არ იტყვის; მაგრამ იგი მზადაა აღიაროს და მხარი დაუჭიროს ალბანეთის მთავრობას, თუ იგი უპარტიო იქნება.

**ოსმალეთი.** როგორც ამბობენ, ექს-სულთანმა აბდულ-ჰამიდმა ოსმალეთის მთავრობას ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი შეაძლია სამხედრო ზღვაოსნობის გასაძლიერებლად.

—

დიდ სახელმწიფოთა შორის ამ ჟამად მოლაპარაკება ხდება, რათა შემუშავებულ იქმნას კომპრომისი გამწვავებულ ოსმალეთ-საბერძნეთის საკითხის მოსარიგებლად.

ამბობენ, რომ საბერძნეთი ოსმალეთს ხიოსსა და მიტილენას დაუთმობს, სამაგიეროდ ოსმალეთი დაუთმობს იმ კუნძულებს, რომელიც შეისყიდა საბერძნეთმა, მათ შორის როდოსსაო.

**პარიზი.** მთავრობა ჰფიქრობს მოითხოვოს პარლამენტისაგან ახალი თანხის გადადება: 754 მილიონ ფრანკისა—არტილერიის შესაიარაღებლად და 135 მილიონი ფლოტის გასაძლიერებლად.

# შეკითხვა

ქართული თეატრის ფოიეში გამოფენილია, ერთს დიდს ჩარჩოში მოთავსებული, სურათები მსახიობის კონსტანტინე ყიფიანისა სხვა და სხვა როლში.

სურათებს ქვეშ წარწერები აქვს რუსულ ენაზე „კ. ყიფიანი ამა და ამ როლშიო“: „რევაზ ტავკარიანი“, „გიკო“, „ოტიია დღოლიია“ და სხ.

ქართულის ხსენებელი კი არსად არის.

რას ნიშნავს ყოველივე ეს და ანვისი განკარგულებით არის გაკეთებული? ვისთვისაა სურათები გამოფენილი? ვისი თეატრის და რომელი ერის მსახიობია პატივცემული კ. ყიფიანი?

ვთხოვთ ამის პასუხს დრამატიული საზოგადოების გამგეობას.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

18 იანვარი.

უცხოეთი.

**პარიზი.** პეტერბურგის სააგენტოს შენიშვნამ დააცხრო მღელვარება, რომელიც გამოწვეული იყო იმ ცნობით, თითქოს პუტილოვის ქარხანა კრუპის ფირმის ხელში გადადიოდეს. „ეკო-დე-პარი“ სწერს: სააგენტოს მოყვანილი ცნობა სავსებით შეეფერება რუსეთის ინტერესებსა და საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრსაო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტომ პარიზში ცნობა გაგზავნა, რომ ლონდონში არა იციან რა პუტილოვის ქარხნის თაობაზეო. ვიკერსისა და კრუპის კომბინაცია დაუჯერებელია. თუ ქარხნის გაყიდვის ხმა გამართლდა შნეიდერის ქარხანა არ იქნება ერთად ერთი, რომელიც პროტესტს განაცხადებს ამის წინააღმდეგ. „... დარდი“ სწერს: მცოდნე პირთა წრეებს არ ჰსურთ ირწმუნონ, რომ რუსეთის მთავრობა დასთანხმდება გერმანიის ფირმის წინადადებას პუტილოვის ქარხნის გაყიდვის შესახებ. პუტილოვის ქარხანა მჭიდროდ არის დაკავშირებული კრეზოსთან და კრეზოს საარტილერიო სადუმლო ნახატები აქვსო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატის სხდომა. ჩეხელი აგრარიები და რადიკალები კვლავ ახდენენ ობსტრუქციას, რათა ხელი შეუშალონ დროებითი ხარჯთაღრიცხვის მიღებას. სხდომის შეწყვეტის დროს ჩეხელთა პარტიების ლიდერთა და მინისტრ-პრეზიდენტის თათბირი მოხდა. მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი ვერ დააკმაყოფილებს ობსტრუქციონისტთა მოთხოვნილებას სეიმის არჩევნების ვადის დანიშვნაზე, ვიდრე გერმანელ-ჩეხელთა შეთანხმებით უზრუნველ-ყოფილი არ იქნება სეიმის შრომის უნარიანობა.

დურაცოდან იტყობინებიან: მოვიდნენ გერმანიისა და ინგლისის დელეგატები, რათა მოლაპარაკება დაიწყონ საკონტროლო კომისიასა და ესად-ფაშას შორის.

ჩეხელთა ობსტრუქციის წყალობით პალატას იანვრის სესიაში არაფერი გაუკეთებია. ამის გამო მთავრობამ პალატის სხდომები შესწყვიტა.

**ბარუნ-სვილი** (თეხასის შტატი). კონსეფსიონე-დე-ოროსთან ჯარისა და მეამბოხეთა შორის შეტაკება მოხდა. ტყვედ შეპყრობის შემდეგ მოჰკლეს და დახვრიტეს 400 ჯარის კაცი. მეამბოხეთ მოუკლეს 7, დაუჭრეს 70 კაცი.

**ნორფოლკი** (ვირგინიის შტატი). გემი „მონროსი“ დაეჯახა მეორე გემს. გემი ჩაიძირა. დაიღუპა 50 კაცი, დაიხსნეს 85.

**ბუქარესტი.** ბულგარეთის ელჩი რადევის სიტყვით, გაზვიადებულია ცნობები ბულგარეთში სარევოლიუციო მოძრაობაზე, თუმცა საარჩევნო კამპანია თან და თან მწვავდება. საბერძნეთისა და ოსმალეთის საომარ სამზადისზე ელჩს უთქვამს: ბულგარეთს ჰსურს საბერძნეთ-ოსმალეთის დავა შვიდობიანად დასრულდესო. რაც შეეხება ოსმალეთის კონვენციას, ელჩის სიტყვით ეს ცნობა მტკნარი სიცრუეა.

**ნიცა.** გარდაიცვალა პოლ დერულედი.

**რიო-დე-ჟანეირო.** წყალდიდობის გამო ბაჰიის შტატს დიდი უბედურება ეწვია. 2.000 კაცი დაიღუპა.

რუსეთი.

**ეკატერინოსლავი.** ღამის თერთმეტ საათზე აბრამოვის სახლთან ყუმბარა აფეთქდა.

**პეტერბურგი.** სრულიად რუსეთის სალიტერატურო საზოგადოების კრების მუშაობა დაიწყო. კრება განიხილავს სათათბიროში შეტანილ კანონ-პროექტს ბეჭდვითი სიტყვის თაობაზე. მონაწილეობას იღებენ საზოგადოების პროვინციული წევრები.

**პეტერბურგი.** უმაღლესი თანადასწრებით აკურთხეს სენატის დეპარტამენტთა ახალი შენობა.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთ „რეჩის“ მეთექვსმეტე ნომერი. რედაქტორი ივანოვი სამართალში მისცეს.

# მხარის ამბები

**სოფ. ლორეში.** შარშან გაზაფხულზე აქ გაიზრახეს ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლის დაარსება და საქმეს ენერგიულად მოჰკიდეს ხელი. ავქსენტი ორჯონიკიძემ ათასი ოთხკუთხი საჟენი მიწა შესწირა მომავალ სასწავლებელს, რომელი ადგილიც წარსულ ზაფხულზე ინახულა დირექციის წარმომადგენელმა და ძლიერაც მოიწონა ჰავითაც და მდებარეობითაც. ეს ადგილი იმყოფება სწორედ იქ, სადაც იწყობა სოფ. ქედ-ხევითის გზის შესართავი; ეს სოფელიც ლორეშის ნაწილია. ბერი ბლიაძეც სწირავს ამოდენივე ადგილს და სურთ სასწავლებელი ეკლესიის მახლობლად აშენდეს. კარგს ინებებენ საქმის მოთავენი ამ საკითხს ჯეროვნად დააგვირგვინებენ და ადგილების გამო მეცილეობით საქმეს არ შეაფერხებენ.

ა. ბელიაშვილი.

**ს. საქაშეთი.** 15 დეკემბერს ცხინვალის ბოქაულმა და გორის მაზრის უფროსმა დაათვალიერეს 9 დეკემბერს წყლისაგან დაზარალებულნი. ზარალი აღმოჩნდა ას თუმანზე მეტი. მკითხველი უთუოდ გაიფიქრებს გულში: „რა ზარალია ასი თუმანი სხვა ზარალთან შედარებითო“. რასაკვირველია, ეს ზარალი უმნიშვნელოა, თუ შეძლებული ხალხი დაზარალდა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ასედაც ღარიბღატაკნი ჰკარგავენ თავის უკანასკნელ ქოხს, მაშინ ლაპარაკი არ უნდა, რომ იმათთვის ეგ ზარალი ძალიან დიდია. ექვსი კომლი მცხოვრები დარჩა ამ სუსხ ზამთარში უსახლ-კაროდ, ძალა უნებურად შეხიზნებულები არიან მეზობლებთან. დაზარალებულებმა მიმართეს მეფის მოადგილეს შემწეობისათვის.

ადგილობრივ მიღებული გვაქვს შემდეგი შემოწირულება: ძმ. დიასამიძეებისაგან 50 მანეთი, უცნობ პირთაგან 20 მან. და სახალხო გაზეთის რედაქციისაგან სხვა და სხვა პირებიდან შემოწირული 5 მან. 40 კ. იმედი გვაქვს, რომ გულშემატკივარნი კიდევ აღმოჩნდებიან.

შემოწირულება ვთხოვთ გამოგზავნონ შემდეგ მისამართით: **სად. ქარელი საქაშეთის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის** სახელზე, რომელმაც იკისრა შემოწირულების განაწილება დაზარალებულთა შორის.

გამგეობას აზრად აქვს დაეხმაროს დაზარალებულთ სახლის აშენებისთვის, გრძელ ვადიანი სესხით მიცემით, თუ კერძო შემოწირულება და მთავრობის შემწეობა არ იქმნა საკმარისი.

გამგეობა დაზარალებულთა სახელით დიდ მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

გამგეობის მინდობილობით **დიმიტრი დიასამიძე.**

---

**სოფ. მეჯვრისხევი.** სოფელს დიდი განახლება დაეტყო. გლეხის ცხოვრება გართულდა და მასთან მისი მსოფლმხედველობა გაფართოვდა. საზოგადოებრივ ცხოვრებისაკენ მიმართული ინტერესი უფრო შესამჩნევი შეიქმნა, გლეხი სასოფლო საქმეს დიდ ყურადღებას აქცევს. მკაფიო და მასთან ნაღვლიანი კილო ბაასისა ნათელი სურათია იმისი, თუ რამ დაუსერა, გაუტეხა გული; ადამიანი, ვინც სოფლის ცხოვრებას დაჰკვირვებია ნათლად წამოიდგენს, მის როგორც მატერიალურ მდგომარეობას, აგრეთვე გონებრივ ავლადიდებასაც—მით უმეტეს იგი მაინც ფხიზელია, ყურ-მახვილი დარაჯი თავის უფლებისა. გლეხს ბევრის მოთმენა, დიდი ტანჯვის ატანა შეუძლია, მაგრამ სამაგიეროდ, თუ დააკვირდებით, იგი უფლებას ძნელად დასთმობს. მასში ჯერ არ ჩაკლულა სასოფლო საქმისადმი ინტერესი, და სწორედ ინტერესი უკარნახებს იმ უფლებისკენ, რომლითაც იგი გულადია, მედგარი, შეუპოვარი. უფლების მცრძობი გლეხი პირდაპირი, შეუდრეკელი.. გლეხი სოფლისთვის ზრუნავს არა მარტო ლაყბობით, არამედ იგი სასოფლო საქმით დაინტერესებული ხარივით ებმევა და სხვასთან ერთად, შეერთებული ძალით-სოფელს აშენებს, მას ამშვენიერებს და განახლება შეაქვს.

დღეს გლეხი თავის მეზობლის გაჭირვებას გულ-გრილად არ უყურებს, იგი კარგად გრძნობს, რომ მეზობლის დაწიხვლა დაცემა, განიავება, მისივე გაქელვა, გალატაკებაა, და აკი მოითხოვს კიდეც აღდგენას, თავის ძალისას-უფლებისას. მეზობელთან ბაასით იგი ითვალისწინებს სასოფლო-საქმის ვითარებას და მის ავ-კარგს კრიტიკული თვალ-აზრისით ზომავს. დღეს ამ მხრით სოფელს დიდი ცვლილება ეტყობა, სწორედ გულს უხარის, როდესაც დაინტერესებულს სასოფლო საქმით გლეხს ელაპარაკები.

ჩვენი მხრის გლეხი დიდი ხანია დაინტერესებულია ღვინის დუქნების საკითხით, დიდი ხანია ფიქრობს როგორმე მოიშოროს თავიდან ღვინის დუქანი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ეს ოხერი დუქანი—ჩვენით არის სუქანი“, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდლამდე საქმე—საქმედ ვერ მოეწყო.

ყველას კარგა მოეხსენება, თუ რაბადე აქვთ გაბმული ამ სოფლის მწურბლებს, რითი, ან როგორ იმადლიერებენ გლეხობას, იმ გლეხობას, რომლებსაც გული სტკივათ, მათ კარგად იციან, საიდან მიუდგნენ საქმეს და აკი აქნობამდე პარპაშობდნენ. ადვილი შესაძლებელია, რომ შემდეგში რაიმე ხერხით მოახერხონ და საქმე ხელ-ახლა გაიჩალხოს და დადგენილება გლეხებისა წაიშალოს. სოფლის ინტელიგენციას სწორედ ეხლა მართებს მოვალეობა, რომ როგორმე საქმე სამუდამოდ მოსპოს, თორემ ადვილი შესაძლებელია ბნელი ძალების წყალობით მათ ხელახლა ამოიყურყუმალაონ. ყველა გლეხი კარგად გრძნობს, თუ ვისმიაქვს მისი ნაოფლარ-ნამუშევარი, ყველა კარგა გრძნობს, რომ მეჯვრისხეველ ახალ გაშენებულ „მოამაგე“ „მაღაზიების“ და დუქნების პატრონთა წყალობით, მას თავისი ნაშრომის ნაყოფი ვერ დაუნახავს.

ჩემ მეზობელ გლეხს შემოდგომას 20 კოკა ტკბილი ამოუწყეს ნისიებში. დაიკვეთებენ 2 მან. 50 კაპ.—3 მან. ტკბილს ზაფხულში. ახალ გაშენებული „მეგობრები“, შემოდგომას ურემს ჰკრიალი გააქვს. ყველა ვაჭარს, გუშინდელ მოსულ „მეგობარს“ სოფლად ქსელი გაუბამს და ეზიდება გლეხის ნაოფლარს. სამწუხარო ის არის, რომ სასოფლო ბანკის წყალობით ამ სოფლის „მეგობრებს“ გამოაქვთ ბანკიდან 20—20 თუმნობით და იკვეთამენ პურს, სიმინდს, ხილს, ტკბილს და შემოდგომას გორისკენ მიაქვთ.

ჩვენი გლეხი კი თვეობით ფულის გამოსატანად დადის და ძლივს ძლივობით გამოაქვს.

„მთელი თვეები უხდება სიარული ჩვენ გლეხს, და მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ“—შემომჩივლა იმედგადაწყვეტილმა გლეხმა.

გლეხის ბუნება, მიუხედავად მისი გარეგნული სიტლანქისა, ნაზია, მგრძნობიერია, მას დიდი სიფრთხილით უნდა მიუდგეს კაცი, თუ იგი დაინტერესებულია სოფლის საქმეებით, თუ მართლა მას სოფლის წინმსვლელობა აინტერესებს ვერას გზით ვერ გავტეხე ჩემი მობაასე. ვარწმუნებდი, რომ ბანკი სოფლისაა და ყოველს თქვენგანს შეუძლიან გამოტანა ფულისა შეძლებისა და გვარად მეთქი.. „მაგ კვალობაზე რომ მივყვეთ, გამომეხმაურება ჩემი მეზობელი ახალი სოფლის „მეგობრები“ ბანკისაგან არ გასუქდებოდნენო. ლილით და საპნის ნემსებით დაიწყეს ვაჭრობა და დღეს ბანკის წყალობით ვენახებს ყიდულობენო, მაგათ გამოაქვთ ფული და ჩვენებიანსა კი ლამის ავადმყოფობით მოკვდეს და ერთი თუმანი ვერ გამოუტანია, რომ თავი მოირჩინოს.

ბევრი სამწუხარო სურათი გადამიშალა თვალ-წინ ჩემმა მეზობელმა და მარწმუნებდა, რომ მათთვის არავინ არა ფიქრობს. უიმედოებში არიან გარეულნი უფრო სადი, ნათელი გონებით და იმედებით გამსჭვალულნი გლეხები.

მათი იმედიანობით ბოლოს გლეხკაცობაც გამხნევდა. ამის მაჩვენებელია გუშინდელი ჩინებული მაგალითი დიდიმეჯვრისხევისა. მთლად გადმა — მეჯვრისხევი შეიყარა თავის ჭირ-ვარამის გამოსაკვლევად.

ერთი-ერთმანეთიდან გაზიარებული აზრები, მართლა, რომ სამწუხარო სურათს უშლის ადამიანს. დიდი ხანია ფიქრობს ჩვენი გლეხობა ღვინის დუქნების მოსპობას, გაუქმებას და ვერ მოუხერხებია. ჯერ იყო და მოძრაობის უნაყოფობამ ძლიერ გაუტეხა გული, შემდეგ თვით სოფლის კაცებთა შორის უთანხმოებამ და გამოურკვეველ მდგომარეობამ მოახდინა ის, რომ სოფლად რამდენიმე წლის წინად დაარსებულმა დუქნებმა—იბარტყეს, მათ მიემატნენ გორიდან ამოსულნი ვაჭრები, რომელთაც ცეცხლზე ნავთი დაასხეს. ყოველ მხრიდან წურბელასავით შემოეხვივნენ და სისხლის წოვა დაუწყეს მათ. ასეთმა მდგომარეობამ დ მამასახლისის დატრიალებამ გლეხები გააერთა, შეადუღა.

გლეხს მარტო ის აბრაზიანებს, ღვინის დუქანში ბაზრის თუნგი 80 კ. იყიდება, მას სხვათა შორის ისიც ულესავს გულს, რომ მის ოჯახს მარჯვენა მკლავი ეცლება ხელი..

ახალგაზდა გლეხები ძლიერ ეტანებიან ღვინის დუქანს და ეს მიზეზი უფრო აღელვებს ჩვენ გლეხს.

29 დეკემბერს დიდ-მეჯვრისხევის და 30 პატარა მეჯვრისხევის გლეხება. მოითხოვეს დ დაადგინეს დუქნების დაკეტვა, როგორც ღვინისა, აგრეთვე წვრილმანისა და. ფართლეულობისა. უნდა ვთქვათ, რომ ამ ბოლო დროს ფართლით მოვაჭრენი გამრავლდა ჩვენ მხარეს.

როგორც დადგენილებაში არის ნაჩვენები, აქაური ვაჭრები თურმე ძლიერ სარგებლობენ გლეხის უვიცობით: ერთი 5—7 ჰყიდიან ყველაფერს. გლეხები გულ-გატეხილები მედუქნებისაგან **ერთხმად მოითხოვენ** მთლად დუქნების დაკეტვას.

თუ ეს მოთხოვნილება გლეხებისა შეიწყნარეს, მაშინ გლეხები მსხვილ ჩარჩებისაგან განთავისუფლდებიან. სოფლის ინტელიგენცია ეხლა საქმეს შეუდგა. სასოფლო „მაღაზიის“ გახსნას დიდი ხანია ფიქრობს და იმედია გლეხებს გაჭირვებას შეუმსუბუქებს. გლეხი იმედიანად უყურებს ამ საქმეს. რასაკვირველია, ზოგს მათგანს ეშინიან, მაგრამ ეს შიში გამოწვეულია ნაძირალებისაგან.

ამორჩეული გლეხების მიერ მამასახლისი ძლიერ ენერგიულად შეუდგა საქმეს, თვით სოფლის ინტელიგენცია დაფაცურდა, საქმეს აწესრიგებს და გლეხის უიმედოებას ჰფანტავს.

ბანკის მოქმედობით, სამწუხაროდ, უფრო გასუქებულმა ვაჭრებმა ისარგებლეს, მაგრამ საზოგადო აზრი ბანკის შესახებ იმედიანია.

უსურვოთ სასოფლო „მაღაზიას მომავალში ნიადაგის მოპოვება და გაფართოვება.

**გაბო გამრეკელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილისა.** დღეს, 19 იანვარს ქართული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ტფილისის სცენაზე „**ბოლო**“. კომედია სამ მოქმედებად კ. სლობოდასი, თარგმ. ალ იმედაშვილისა და მხიარული ვოდ. 1 მოქმ. „დუელი“.

**გორი.** გორელმა ქართველმა ქალებმაც 14 იანვარს, ნინოობა დღეს, ადგილობრივ საზოგ. საკრ. დარბაზში გამართეს პატარა დღესასწაული „მანდილოსანის“ სასარგებლოდ. ბილეთების ფასი საგრძნობლად აწეული იყო, მაგრამ საღამოს შვიდ საათზე კასაში ბილეთი აღარ იშოვებოდა. ხალხი კი მოდიოდა. წარმოადგინეს სუმბათაშვილის „ღალატი“. მსახიობი ნ. დავითაშვილი ზეინაბის როლს ასრულებდა. ქ. დავითაშვილი რამდენჯერმე გამოიწვიეს.

მას სხვებთან შედარებით კარგად მისდევდა ოთარ-ბეგი (გ. თაზიშვილი). დ. ჯავახიშვილი (სოლეიმანი) სუსტობდა. შედარებით კარგი გაიანე იყო ქ-ნი ცხინვალელი. ალ. ციციშვილის რუქაია უფრო გულუბრყვილო, შეყვარებული, ცქრიალა გოგონა იყო, ვიდრე გაიძვერა, დიდებისა და პატივის მოყვარე, მუხანათი და ცბიერი დიაცი... ქართული ენაც მოუსუსტებდა.

დ. ცერცვაძის ანანია საზოგადოებას მოეწონა. არა უშავდა რა დათოსაც. (დ. მაჭავარიანი).

ირაკლი (ა. ტერ სტეფანოვი) სუსტი იყო.

მშვენიერი მაიკო იყო ა. მაისურაძისა. დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

რამდენიმეს გარდა, როლის უცოდინარობა თითქმის ყველას ეტყობოდა. ანტრაქტებში უკრავდა საზანდარი. იყო „ლეკური“. საზოგადოება ღამის 3—4 საათზე დაიშალა.

**ლანცეტი.**

**ბათომი.** 14 იანვარს ჩვეულებრივი ქართული საღამო—ნინოობა, რა თქმა უნდა, წელსაც იყო აქ გამართული, რიცხვით მე-21. უნდა აღვნიშნოთ, რომ შემოსავლიანობით წლევანდელი საღამო ყველაზედ მეტი იყო, სახელდობრ ოთხას თუმანს გადააჭარბა, შინაარსით კი წინანდელებზედ მდარე... პირველ განყოფილებაში დადგეს ცოცხალი სურათები: 1) კერპთ-თაყვანის მცემელი მეფე ძირიანი და დედოფალი ნანა ლოცულობენ კერპთ ტაძარში, 2) წმ. ნინოს გამოცხადება და დამხობა კერპთა 3) ქადაგება წმ. ნინოს მიერ... სურათები კარგი იყო. მეორე და მეოთხე განყოფილებაში ბ. შარაშიძის—ქუთაისიდან მოწვეულმა ხორომ იმღერა. მადლობის ღირსია ბ. შარაშიძე, რადგან სასყიდელზედ უარი სთქვა. მესამე განყოფილებაში ადგილობრივმა დრ. დასმა მოაწყო კაბარე დ საქანელა... თუმცა ეს განყოფილება —ეფექტებით და სიცოცხლით აღსავსე იყო, მაგრამ, ჩვენის აზრით, არ შეეფერება ამ საღამოს.

კარგად იმღერა იტალიურად ბ. ვალაცისამ. აგრეთვე კარგად დაუკრა სკრიპკაზე ახალგაზდა მემუსიკემ. საზოგადოდ ქართული ხასიათი ნაკლებ ჰქონდა საღამოს. ბოლოს გაიმართა ქართულ-ევროპიული ცეკვა

**მესხეთელი.**

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.** გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

# მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადახაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 3 წ № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 20 წ.

**ყარსისკენ: სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 **საფოსტო** 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 პ. **ფომინა-ოხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ი. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგამგეო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.


# ექიმ ნაგახარდიანის

## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. ზ ე ზ ხ ა პ უ ნ ე ბ ა კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნაგახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ვ. გ. ბეგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**გ. გ. ბენიამინოვი:** 10—12 ს. ყურისა, ჩელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. ბეეტიხაანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. ძ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბეეტიხაანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნაგახარდიანი.**

1004

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე.** გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

---

# იყიდება ვენახი

2 დეს. 990 ოთხკ. საჟენ. საკუთარი მილის წყლით, **სოფ. კოდაში,** (საფოსტო სადგური ტფილისიდან 27-დე ვერსზე). **მიმართეთ:** ბებუთოვის ქუჩ. № 56, ბინა 4, დილის 3—5 ნახევ. ს.-დე, საღამ. 8—9-ნახევ. ს.-დე.

21

---

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე.

1511

---

# ალტაცეზისათვის იშვიათი შემთხვევა!

**ჩვენი ნივთების დანახვით გაოცდებით, როდესაც გაიგებთ, თუ რა იაფი ფასები დავაწესეთ მათზე, რომელიც დარწმუნდებით ჩვენი საქონლის კეთილ ღირსებაში.**

**მხოლოდ 4 მ. და 95 კ.** ვგზავნით შემდეგს ძვირფას და სასარგებლო ნივთების გარნიტურს: 1. მშვენიერ ჯიბის საათს, ნამდვილი შავი ფოლადისას, ახალ მოდურს, ძლიერ თხელს, მოსართავი თავში აქვს და მართვა სპირია ყოველ 40 საათის განმავლობაში ერთხელ, ნამდვილი ანკერი, მუშაობს ქვებით, ან და ქალებისათვის ცილინდ., წუთამდე შემოწმებული, **უეჭველად სწორი მუშაობა,** პასუხის-გება ექვსი წლის განმავლობაში. 2. კოხტა და მოდური ძეწკვი ორგვად ნამდვილი „დუბლე“-ს ლითონიდან, საუკეთესო შნოისა, 3. ძლიერ საინტერესო ბრელოკს, 4. საათისათვის ზამშის ბუდეს, 5. საზღვარ-გარეთულ საფულეს ტყავისას, ექვსი განყოფილებით და მექანიური გასაღებით, კოხტა პარიზის ხელობისას, 6. რეზინის ბეჭედს, რომელზედაც ეწერება გვარი, სახელი და მამის სახელი შემკვეთელისა. 7. საათების დასაცავს ქურდებისაგან, 8. სათეატრო ბინოკლს, საუცხოვო ნახელავს, ოთხი აქრომატიულ შუშით, რომელიც ძლიერ ადიდებს შორეულს საგანებს, 9. სტერეოსკოპს—ცოცხალ სანახაობას, რომელიც აჩვენებს ნახატებს ბუნებრივად, 10. ამისათვის ექვს ფრიად საინტერესო სურათს, 11. კეკლუც საჩუქარს ქალებისათვის, რომელსაც შეადგენს ბეჭედი დუბლე-ოქროსაგან, ფრანგული ბრილიანტით, ასეთსავე ბროშკას და ახალმოდურ ფასონის წყვილ საყურეებს, 12. საშინაო სტამბას, რომელიც შესდგება რეზინის 129 ასოდან და ციფრიდან, საჭიროა ყოველ სახლში თვითმბეჭდაობისათვის, 13. ნიკელის ჯიბის საწერელს, ძლიერ ადვილს ჯიბით სატარებლად, 14. ჯიბის სატუალეტო ნესესერს ოთხი საინტერესო და საჭირო ნივთით, 15. **უკანასკნელი ახალი ამბავი:** კოლვერი, სამუდამოდ ჯიბის ასანთით, 16. საინტერესო ჯადოსნურ წიგნს, რომელიც შეიცავს, 100-მდე ახალ-ახალს საინტერესო ფოკუსს: **მთელი გარნიტურის ფასი 4 მან. 95 კაპ., 2 გარნიტურისა კი—9 მან. 30 კაპ.** ასეთივე გარნიტური საუკეთესო ხარისხის ნივთებით უმაღლესი ღირსებისას 5 მან. და 70 კაპ., 2 გარნიტური კი—10 მ. 80 კ., თითო გარნიტურა დახურულ საათით ღირს 1 მ. უფრო ძვირი.

**გურჩევთ საუკეთესო ხარისხოვანის გამოწერას, რადგან ფასში ძლიერ მცირე განსხვავებაა, ღირსებისა კი ფრიად დიდია.** ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გადასაგზავნი ხარჯი 45 კაპ., (ციმბირში 80 კაპ.).

**ადრესი: „Т—во „Патентъ“, Варшава, Св. Креста, отд. 127.**

Метцль. 64512. 1583




1453

---

— გამოსულია და იყიდება —

**ნ. შიუკაშვილის**

**პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის პიესა**

**„ვ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

---

**ცინკოგრაფია** წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა

**ღებულობს მისრულობს ყოველგვარ კლიშეების დამზადებას**

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.

ტფილისი ვანქის დიდი ქუჩა, № 12. Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12.

---

თევზის მრეწველნი **ძმ. ძმ. მეგველოვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.

**იყიდება** იმავე ხარისხის **საქონელი,** როგორც პუშკინის ქუჩაზე.

---

# „ჯ ე ჯ ი ლ ი“

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

თცდა-მეხუთე წელიწადი.

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.**

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „**ჯეჯილი**“ ტფილისში ეღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „**ჯეჯილის**“ რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5), ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ჭიათურაში—მასწ. ნიკ. წუწუნავასთან და სამტრედიაში—რაჟდენ ნანეიშვილთან.

**რედაქციაში იყიდება ცალკე წლების ჯეჯილები.**

**1914 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ დასურათებული წიგნი „კ უ ნ ჭ უ ლ ა“.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ, въ Ред. груз. дѣтскаго журн. „Джеджили“.

1003 რედაქტ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**